პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წლიწადი მეხუთე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
[illegible]ების ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 4.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—4.500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 3.000.000 მანეთი განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 194 შაბათი 25 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 194

დ ღ ი უ რ ი

— გერმანიაში მდგომარეობა მეტად გართულდა. კოალიციონური პარტიები ამზადებენ ნიადაგს შტრეზემანის დიქტატურისათვის. საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების კრება [illegible] ენერგიულად აწარმოოს ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ. [illegible] აზრით, შტრეზემანის მთავრობა ხანმოკლეა.

— ირლანდიაში განახლდა მოძრაობა ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ.

— ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა ლოზანის ხელშეკრულება.

— საბერძნეთში გაფიცულია 120.000 მუშა.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1923 წ. აგვისტოს 23.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე და გზა-ტკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ სახელმწიფო დაწესებულებათა ენისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული დეკლარაციის ძირითადი პრინციპების განსახორციელებლად და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამა აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხ. აღსრულებისათვის,—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება—ამიერ-კავკასიის რკინის-გზებზე და გზა-ტკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

2. დაეკისროს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ, რაც შეიძლება მოკლე ვადის განმავლობაში, წარმოუდგინონ ამიერ-კავკასიის სოც ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დებულებანი—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის გზათა სახალხო კომისარიატის პორტების განყოფილებაში ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეს. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ ივანიშვილი.

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართ საბჭოს მდივნის მაგიერ ტრეივასი.

დებულება

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე და გზატკეცილებზე ეროვნულ რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

I. გზათა სამმართველოსათვის.

ა.,—შეკითხვა და პასუხი ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის დაწესებულებათა მიმართ უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

ბ.,—ყოველი,—გამოუნაკლისად,—წარწერა, განცხადება, ბრძანება, ცირკულიარი, წესები, განკარგულება და სხვ., რაც გამოფენილი იქნება მოქალაქეთა საყოველთაო ცნობისათვის სადგურზე, კონტორაში და სხვ. შენობაში, აგრეთვე გზებზე,—აუცილებლად უნდა იწერებოდეს,—ერთსა და იმავე დროს,—ამიერ-კავკასიის ფედერაციის ოთხ ენაზე: სომხურსა, ქართულსა, თურქულსა და რუსულზე; ხოლო წარწერა, განცხადება, ბრძანება და სხვ. ადგილობრივ ხასიათისა—ამა სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით,—უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

გ.,—ყოველგვარი განკარგულება, განცხადება და წესები,—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში მიმოსვლელ ვაგონებში გამოკრული,—უნდა იწერებოდეს, ერთსა და იმავე დროს,—წინა მუხლში აღნიშნულ ოთხ ენაზე.

დ.,—ამიერ-კავკაეიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი ცალკე რესპუბლიკების ფარგლებში მიწერ-მოწერა გზის ხაზის დაწესებულებასთან არატეხნიკური ხასიათისა—უნდა სწარმოებდეს ორ ენაზე: სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

ე.,—გზათა სამმართველოს ყოველი ბრძანება, ცირკულიარი და დეპეშა ტეხნიკურ-განკარგულებითი ხასიათისა,—ვიდრე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკათა ენებზე ტეხნიკური ტერმინოლოგია დამყარდებოდეს,—გაიცემა რუსულ ენაზე.

ვ.,—მთლად ტეხნიკური, მატერიალური და ფულის ანგარიში რკინის გზების სამმართველოში სწარმოებს რუსულ ენაზე.

ზ.,—რკინის გზების სამმართველოს განყოფილებათა (სლუჟბა) შორის შინაგანი სამსახურებრივი მიწერ-მოწერა სწარმოებს რუსულ ენაზე.

II. ამიერ-კავკასიის რკინის გზებისა და გზატკეცილების ხაზისათვის.

ა.,—შეკითხვა და პასუხი ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის დაწესებულებათა მიმართ უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

ბ.,—ტვირთისა და ბაგაჟის გადასაზიდი დოკუმენტები, როგორც ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შიგნით, ისე სატრანზიტო მიმართულებისათვის, შედგენილ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

გ.,—ყოველგვარი სამსახურებრივი არატეხნიკური ხასიათის მიწერ-მოწერა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი ცალკე რესპულიკების ფარგლებში უნდა სწარმოებდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე.

დ.,—ტეხნიკური, მატერიალური და ფულის ანგარიში, აგრეთვე მთლად ამ ანგარიშთან დაკავშირებული მიწერ-მოწერა,—როგორც ცალკე რესპუბლიკის შიგნით, ისე მეზობელ რესპუბლიკებთან და გზათა სამმართველოსთან,—დროებით, ვიდრე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ენებზე ტეხნიკური ტერმინოლოგია დამყარდებოდეს,—უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზე.

ე.,—ყოველგვარი სამსახურებრივი ურთიერთი მიმართვა—არა ტეხნიკური ხასიათისა ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა რესპუბლიკის რკინის გზის ხაზის სარკინისგზო დაწესებულებათა შორის და გზატკეცილების დაწესებულებათა შორის უნდა სწარმოებდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად—რუსულ ენაზე; ხოლო ტეხნიკური ხასიათის მიწერ-მოწერა სწარმოებს რუსულ ენაზე.

ვ.,—მიწერ-მოწერა არატეხნიკური ხასიათისა, გზის ხაზიდან წარგზავნილი გზათა სამმართველოში, უნდა იწერებოდეს სათანადო რესპუბლიკის ენაზე და პარალელურად რუსულ ენაზე.

ზ.,—სამსახურებრივი ხასიათის დეპეშა, საექსპლოატაციო-ტეხნიკური საანგარიშო საკითხების შესახებ ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადაცემისათვის, უნდა იწერებოდეს და გადაიცემოდეს რუსულ ენაზე.

III. კერძო დაწესებულებასთან და პირთან ურთიერთობრივი მიმართვისათვის.

ა.,—ყოველგვარი განცხადება, რომელიც შეტანილი იქნება კერძო პირის მიერ, როგორც გზათა სამმართველოში, ისე გზათა სახაზო დაწესებულებაში, მისაღებად სავალდებულოა სათანადო რესპუბლიკის ენაზე, სათანადო რაიონის ნაციონალური უმცირესობის ენაზე და რუსულ ენაზე.

ბ.,—ყოველი დოკუმენტი და ცნობა მიცემულ უნდა იქნეს მთხოვნელის სურვილისამებრ იმ ენაზე, რომელიც მან აირჩია ზემოაღნიშნული „ა“ პუნქტის თანახმად, ან ერთ-ერთ ამ პუნქტში მოხსენებულ ენაზე.

გ.,—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების ფარგლებში კერძო პირისა და დაწესებულების მიერ გაგზავნილი დეპეშა მისაღებად სავალდებულოა სათანადო რესპუბლიკის ენაზე ან რუსულ ენაზე,—ხოლო ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადასაცემი დეპეშა მიიღება და გადაიცემა რუსულ ენაზე, ვიდრე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ენებისათვის საამისო ტეხნიკური შესაძლებლობა შეიქმნებოდეს.

დ.,—ამა დებულების სრულის თანადობით შესასრულებლად გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა უნდა დაუყოვნებლივ გამოსცენ ინსტრუქციები და წესები ამა დებულების შეფარდებისათვის.

ამიერ კავკასიის სოც. ფედ საბჭ რესპ. სახალხო. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მაგიერ ტრეივას.

ენის საკითხი

ეროვნული კულტურის პრობლემები საზოგადოთ და მათ შორის კი განსაკუთრებით საკითხი ენის შესახებ წარმოადგენენ „წყეულ კითხვათა“ იმ კატეგორიას, რომელთა გადაჭრა პრაქტიკულათ ფრიად რთული საქმე. ჩვენ ვამბობთ პრაქტიკულათ, რადგან თეორეტიულ სფეროში ისინი არ წარმოადგენენ რაიმე სიძნელეს და საკმაოთ გაშუქებული არიან და გადაწყვეტილი. სიძნელე ენის საკითხის გადაჭრისა ჩამარხულია ერთი მხრით იმ პირობებში, რომელიც შექმნა წარსულში თვითმპყრობელური მთავრობის ნაციონალისტურმა, რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ და რომლის ნაშთებს ჩვენ ვეხეჩებით თითქმის ყოველი ფეხის გადადგმაზე და მეორე მხრით იმ ეროვნულ და ეროვნულ უმცირესობათა სიჭრელეში, რომლის ფაქტთან ჩვენ გვიხდება საქმე ვიქონიოთ ჩვენ სინამდვილეში, როგორც ამიერ-კავკასიის ფედერაციის, ისე მის შემადგენელ ცალკე ეროვნულ რესპუბლიკების ფარგლებში.

ამ ორი კატეგორიიდან პირველის უმთავრესი ხელშემშლელი ნაშთები მდგომარეობს კონკრეტულათ ეროვნულ ენების იმ ტრადიციულ სიბეჩავეში, რომელშიც ჩააგდო ისინი მეფის მთავრობის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ, როდესაც საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს თავის საკუთარ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი, წერა და, ასე ვთქვათ, აზროვნება უფრო უძნელდება, ვინემ ძვ ლათ ძალდატანებით გამეფებულ სახელმწიფო ენაზე. როდესაც სკოლიდან მშობლიური ენა იდევნებოდა, ეროვნულ-კულტურული შემოქმედება შევიწროებული იყო—ყოველივე ამის შედეგათ, რასაკვირველია, უნდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა, ხოლო ახალ, რევოლიუციონურ წესწყობილებას სამკვიდროთ მიეღო ის, რაც ჩვენ გვაქვს დღეს. ეროვნულ კულტურის ასეთი შევიწროების პირობებში მომუშავე მოხელეებისათვისაც ბუნებრივია ძველი შეხედულება ამ საგანზე, რომელიც აქა-იქ დღესაც ახასიათებს საბჭოთა აპარატებში შეჩრილ მოხელეებს.

არა ნაკლებ აბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას მეორე გარემოება, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ: სიჭრელე ა. კ. ფედერაციის ეროვნულ შემადგენლობის, ხოლო რესპუბლიკებში კი—ეროვნულ უმცირესობათა არსებობა.

ყველა ამ პირობებით აიხსნება უმთავრესათ ის სიძნელენი, რომლებიც აფერხებდა და აფერხებს დღესაც ენის საკითხის გადაწყვეტას პრაქტიკულათ თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მთავრობას ხელები სავსე ჰქონდა იმ გადაუდებელ საქმეების სალიკვიდაციოთ, რომლებიც მას უანდერძა (სოფლიო ომით და სამოქალაქო ომებით შექმნილმა ეკონომიურ-პოლიტიკურმა გართულებებმა და ყველა აქედგან გამომდინარე პრაქტიკულმა ამოცანებმა. მაგრამ სწორეთ იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა რეჟიმის არსებობის დროს ანაქრონიზმათ უნდა ჩაითვალოს ასეთი კითხვების მოუგვარებლობა რა რიგ სიძნელესაც არ უნდა წარმოადგენდნენ ისინი, სწორეთ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება და ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვანი ენერგია უნდა მიმართულიყო აქეთკენ. ეს ახასიათებს პარტიის სრულიად საკავშირო მეთორმეტე ყრილობას. მან თავისი მუშაობის ერთ ერთ უმთავრეს საგნათ გახადა ეს საკითხი და გამოიმუშავა პრაქტიკული ზომები მის მოსაგვარებლათ მთელს ფედერაციაში.

სწორეთ ამ ყრილობის გადაწყვეტილებათა აზრით ამ საკითხის გადაჭრის ერთ უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენს დებულება, რომელიც, თანახმათ ა. კ. ცაკის მეორე სესიის დადგენილებისა, გამოიმუშავა ა. კ. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და ქვეყნდება დღეს ჩვენს გაზეთში.

გარდა იმისა, რომ ამ ზომების გატარებას აქვს, ასე ვთქვათ, თვითღირებულება ეროვნულ კულტურის განვითარების თვალსაზრისით, ეს ზომა წარმოადგენს აუცილებელ პირობას მუშურ-გლეხური სახელმწიფოებრივი აპარატის დაახლოებისას ჩვენი რესპუბლიკების მშრომელ მასებთან, დაახლოებისას, ურომლისოთ წარმოუდგენელია, როგორც ჩვენი სახელმწიფოს არსებობა საზოგადოთ, ისე მისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონალური გამართლება, მათი ნორმალური მუშაობა მშრომელთა საკეთილდღეოთ. მაგრამ თუ ამ ნაციონალიზაციის გატარება შედარებით ერთნაირ სიადვილეს წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მუშაობის ერთი კატეგორიის დარგებში, მაგიერათ ის ძნელია, ისევ შედარებით, ამავე მუშაობის სხვა სფეროებში. და ერთ უმთავრეს და, შეიძლება ითქვას, ერთად ერთ ყურეს, სადაც ეს იყო და არის ძნელი, წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ფედერალური საკავშირო გზები. მიუხედავათ ამ სიძნელისა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის დეტალური ზომები, რომლებსაც შეიცავს ა. კ. ს. ს. ფ. სახალხო კომისართა საბჭოს დებულება, მიაღწევენ მიზანს სულ ახლო მომავალში და ამ მხრივაც ჩვენ მივიღებთ დადებითი შედეგებს ნაციონალიზაციის, ეროვნულ და ეროვნულ უმცირესობათა ენების ხმარების სფეროში.

დებულება, როგორც მკითხველი დაინახავს, აგებულია იმ პრინციპზე, რომ არ დაიჩაგროს ეროვნულ რესპუბლიკებისა და მათი ეროვნულ უმცირესობათა ენები, რომ დაწესებულების მოქმედება-განკარგულებანი გასაგები იყოს ხალხის ფართო მასებისთვის ადგილობრივ, კედელი არ შეიქნეს აღმართული სახელმწიფო ორგანოებისა და მასებს შორის და რომ ეს მოხდეს ისე, რომ არ შეფერხდეს მეორე მხრით დღეს არსებული ადგილობრივი და ცენტრალური, უმეტეს ნაწილით, ცენტრალური აპარატის ფუნქცია და მათ მუშაკთა მოღვაწეობა.

ჩვენ არ შევუდგებით აქ დებულების ნათლათ ჩამოკვეთილი მუხლების განმეორებას, საჭიროა მკითხველი დაწვრილებით გაეცნოს მათ. აღვნიშნავთ მხოლოთ, რომ იქ გათვალისწინებულია გზების ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა მიერ ეროვნულ ენების ხმარების ყველა შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოთა, ისე როგორც რესპუბლიკათა შორის ურთიერთ საქმიან დამოკიდებულების შემთხვევებში და შინაური მუშაობის ზოგიერთ დარგებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯერ კიდევ რუსულ ენას. ეს ბუნებრივია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის არის, დღეს, ასე ვთქვათ, ინტერნაციონალური და უფრო გასაგები ა. კ. რესპუბლიკების ყველა კუთხეებისათვის და გარდა ამისა ხსენებული მუშაობისთვის ადგილობრივ ნაციონალურ ენაზე ჯერ კიდევ არ მოიპოვება აღნიშნულ დარგებში საჭირო ტერმინოლოგია, რომ ამნაირათ საქმის უვნებლათ იწარმოოს მუშაობამ. მაგრამ, როგორც თვით დებულებაც აღნიშნავს, ყველა ეს დაბრკოლებანი გარდამავალი ხასიათის არიან და თავის დროზე ისინიც მოისპობიან. ამ მხრით უკვე არის გადადგმული ნაბიჯები გავიხსენოთ თუ გინდ იმავე ა. კ. ცაკის სესიის დადგენილება ადგილობრივი ენების სწავლების ვალდებულების შესახებ სკოლებში.

ამნაირათ ეს ერთი ძნელი საკითხიც, ისიც ჩვენი სახელმწიფოებრივი დაწესებულების ერთ მთავარ სფეროში, რკინის გზებზე და გზატკეცილებზე, უახლოვდება საბოლოო გადაჭრას ა.-კ. ს ს რ. სახ კომისართა საბჭოს დადგენილების გამოქვეყნებით. ადგილობრივი და ცენტრალური მუშაკების მოვალეობაა მათი სისტემატიური და სისწორით ცხოვრებაში გატარების დაწყება და ამ მიმართულებით მუშაობა. ამ მუშაობის გამარჯვებით დაგვირგვინების თავდებია როგორც დებულების გამომცემი ორგანოს გადაჭრილი ნებისყოფა, ისე მისი ამსრულებელი ადგილობრივი მუშაკების ენერგია და საქმის სიყვარული.

რადიო-დეპეშები

(„ზაქროსტას ცნობები“)

გერმანიის ამბები

ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სხდომა.

ემზადებიან მრეწველობის დაცვისათვის.

ბერლინი. 22 აგვისტო. ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სხდომაზე, რომელიც მოწვეული იყო ნიშნად პროტესტისა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დათხოვნის წინააღმდეგ, მონაწილეობა მიიღო მრავალ რიცხოვანმა ხალხმა. ცნობას პრომფინტერნის მიერ 1 მილ. ოქროს მარკის გამოგზავნის შესახებ შეხვდენ მქუხარე ტაშით. გადაწყდა გაუგზავნონ სამადლობელო დეპეშა რუსეთის პროლეტარიატს. სხდომაზე ხაზი გაუსვეს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოწყობის აუცილებლობას პროფესიების მიხედვით. მიღებულია რეზოლიუცია მოწოდებით ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ბრანდენბურგის კონგრესისათვის ენერგიულად მზადების შესახებ, რომელიც დანიშნულია 9 სექტემბრისათვის. რეზოლიუციაში აგრეთვე ნათქვამია ებრძოლონ მწარმოებლების მიერ დაწყებულ საბოტაჟს.

მარკა უფსკრულისაკენ მიექანება.

ბერლინი. 22 აგვისტო. კურსი მარკა უფსკრულისკენ მიექანება. შავ ბირჟაზე დოლარის ფასმა არაჩვეულებრივ ციფრს მიაღწია—7 ნახ. მილ. ოფიციალური კურსი კი—6 ნახ. მილ.

მარკის კურსის დაცემის ოფიციალური მიზეზი.

შტრეზემანის პრესა სთვლის მარკის კურსის დაცემას, ქაღალდის ფულის უკანასკნელ გამოშვების შედეგად, რამაც გერმანიის მიმდინარე ვალები აგვისტოს პირველ მეხამედში 60 ტრილიონამდე გაადიდა. კუნოს კაბინეტის არსებობის უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში დაბეჭდილია კიდევ უფრო მეტი ქაღალდის ფული, ვიდრე წლის პირველი 7 თვის განმავლობაში.

მარკის კურსის დაცემის ნამდვილი მიზეზი.

მთავრობის პრესა, რომელიც მარკის კურსის დაცემას აბრალებს გადამდგარ კუნოს კაბინეტს, არაფერს ამბობს მთელ რიგ პოლიტიკურ ფაქტორებზე, რომელიც მეტად სახურველია შტრეზემანის კაბინეტისათვის. მარკის კურსის დაცემამ გამოიწვია მაღაროების მეპატრონეთა მიერ ნახშირის ფასების გადიდება და შეძლებულ კლასების წინააღმდეგობა გადასახადების ახალი კანონის წინააღმდეგ. ფინანსთა მინისტრისადმი გაგზავნილ საპროტესტო დეპეშაში სილეზიის მწარმოებელთა კავშირი იმუქრება ფაბრიკების დაუყოვნებლივ დახურვით თუ ახალი საგადასახადო კანონის გატარება არ იქნება შეჩერებული და წინადადებას აძლევს მთავრობას ან გააუქმოს აუტანელი გადასახადები, ან გაისტუმრონ სილეზიის მუშები ხაზინის საშუალებიდან. ასეთივე განცხადებით გამოვიდენ აგრეთვე მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგების წარმომადგენლებიც.

მუშათა რიგები მტკიცდება ბრძოლაში.

ბერლინი. 22 აგვისტო. ეკონომიურ მდგომარეობის გართულება და მწარმოებელთა უარი შეასრულონ მასიურ გაფიცვათა ზეგავლენით დადებული ხელშეკრულებანი, ანვითარებს მუშათა მოძრაობას. მიუნხენის 3 დიდი გაზეთის სტამბების მეპატრონეებმა დაადგინეს დაითხოვონ ყველა სავაჭრო განყოფილებათა მოსამსახურენი სექტემბრის ბოლოში,—ტეხნიკური პერსონალი კი—სექტემბრის შუა რიცხვებში. მიუნხენის სხვა სტამბებში ტეხნიკურ პერსონალს გამოუცხადეს მოსალოდნელ დათხოვნის შესახებ.

ვიურტენბერგში „ზეზოშკაბეთის გამომცემელთა კავშირის“ გაზეთები არ გამოსულან, რადგან მუშებმა უარყვეს მწარმოებელთა წინადადება ტარიფზე ნაკლები ხელფასის მიცემის შესახებ. გერმანიის წიგნების მბეჭდავ წარმოებებში სამუშაო დღე 4 საათამდეა შემცირებული. მბეჭდავთა კავშირი მოითხოვს შრომის სამინისტროსაგან, რათა სამუშაო დღე მეტად აღარ იქნას შემცირებული.

საქსონიის შრომის სამინისტროში შემოდის მწარმოებელთა განცხადებანი წარმოების განზრახულ შემცირების შესახებ. საქსონიის მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ თუ საქსონიის მუშები განაგრძობენ ძალდატანებით პოლიტიკას ხელფასის საკითხში, ისინი ხელს შეუწყობენ საქსონიის მრეწველობის განადგურებას.

შტრეზემანის დიქტატურა.

ლონდონი. 24 აგვისტო. დემოკრატიული და კათოლიკურ-სოციალისტური პრესა და აგრეთვე ნაწილობრივ სახალხო პარტიის ორგანოები **ამზადებენ გერმანიის ხალხს შტრეზემანის დიქტატურისათვის.** ის, რაზედაც გუშინ ლაპარაკობდენ საიდუმლოთ, დღეს ირჩევა უკვე აშკარად და შორს არ არის ის დღე, როდესაც კანცლერის დიქტატურა აღიარებული იქნება საქვეყნოდ. „ოფიციალურ წრეებში იმ აზრს იზიარებენ, რომ შტრეზემანი შესძლებს პრეზიდენტის და რეიხსტაგის უფლების შეზღუდვას და რომ ის, პარლამენტის და თვით კაბინეტის დაუკითხავად, სამხედრო ძალების საშუალებით გაატარებს თავის პროგრამას თვითმპყრობელურად. შტრეზემანის ორგანო ამას შესახებ სწერს: „რადგანაც ასე ბევრს ლაპარაკობენ დიქტატურაზე უნდა ითქვას, რომ საქმე დიქტატურის ფორმაში კი არ არის არამედ იმაშია, თუ ვინ არის ის პირი, რომელსაც ხალხი ანდობს სავსებით გადამწყვეტ უფლებას საზოგადო კეთილდღეობისათვის და რომლის პოლიტიკას ყველა იცნობს სწორად“.

ახალი მუსოლინი.

ლონდონი. 24 აგვისტო. „ნეიე ბერლინერ ცეიტუნგ“-ი ადარებს შტრეზემანს მუსოლინს.

„შტრეზემანის მიერ მიღებული ზომები ატარებენ დიქტატორულ ხასიათს და მისი მიმართვა ნდობის ვოტუმისათვის პარტიის ლიდერებისადმი უბრალო ფორმალობაა. მუსოლინიც ხშირად მიმართავს ასეთ ხერხს“,—სწერს გაზეთი.

უკანასკნელი ცდა რესპუბლიკის გადასარჩენად.

ლონდონი. 24 აგვისტო. „ნაციონალ ცეიტუნგი“ ამბობს: „შტრეზემანი მიმართავს ცდას დემოკრატიული რესპუბლიკის გადარჩენისათვის. თუ ის დამარცხდა, მაშინ უნდა გამოვეთხოვოთ დემოკრატიას, **დიქტატურა გადავა ან მონარქისტების, ან კიდევ კომუნისტების ხელში, რაც უფრო ადვილად შესაძლებელია. შესაძლებელია ისიც, რომ გერმანია ორად გაიყოს: სამხრეთი—რეაქციონური დიქტატურით და ჩრდილოეთი—კომუნისტური“.**

რეაქციის ლიდერთან შეხვედრათ.

ბერლინი. 24 აგვისტო. შტრეზემანი ამ დღეებში მიემგზავრება მიუნხენში ბავარიის პრემიერ კნილინგთან შესახვედრათ.

ეშინიათ კომუნისტების.

ბერლინი. 24 აგვისტო. ვიურტემბურგის მთავრობამ აკრძალა კომუნისტური პარტიის ყრილობა შტუტგარდში.

სურსათის შესასყიდი ფონდი

ბერლინი. 22 აგვისტო. გერმანიის მთავრობამ დაადგინა უცხოეთის ვალიუტის მქონეთა დაბეგვრის საშუალებით შექმნას სპეციალური ფონდი 300—500 ოქროს მარკიდან შემდგარი საზღვარ-გარეთ სურსათ-სანოვაგეს შესასყიდათ. „ფორვერტსი“ აფრთხილებს კაპიტალისტებს შემოსავლის დაფარვისაგან და წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მათი ქონების კონფისკაციით იმუქრება.

აღშფოთებულნი არიან შემთანხმებლებით

ბერლინი. 22 აგვის. კუნოს გადადგომამ და კოალიციონურ მთავრობის შედგენამ, შედარებით დააწყნარა მასსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობა, კუნოს ბედით გაფრთხილებული, შეამსუბუქებს მუშების მდგომარეობას. თუმცა მოძრაობა დგილ-ადგილ კლებულობს, მაგრამ მან თავისი კვალი დასტოვა მასების ფსიქოლოგიაზე. **პროფკავშირებში მუშები ხდევნიან და სცემენ რეფორმისტულ ბელადებს და აღშფოთებულნი არიან სოციალ-დემოკრატებით. ბერლინში მელითონეებმა სცემეს შემთანხმებელთა კავშირის მდივანს ურიგს.** ეს გამოსვლები შემთანხმებელთა წინააღმდეგ მასების აღშფოთების სტიქიურ გამოსახულებას წარმოადგენს.

გერმანიის ფაშისტები ამზადებენ ახალ თავდასხმას

ბერლინი. 23 აგვის. აქვეყნებს რა ცნობას იმის შესახებ, რომ ფაშისტები ამზადებენ ახალ თავდასხმას ორ სექტემბერს, „როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ მუშებმა, მოსამსახურეებმა, მოხელეებმა და წვრილ ბურჟუაზიულმა გლეხობამ ენერგიული წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ფაშისტებს.

ვერაფერს გახდებიან

ბერლინი. 24 აგვის. დღეს შტრეზემანის თავმჯდომარეობით გაიმართა საიმპერიო კაბინეტის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ფინანსიური და ეკონომიური ზომები მარკის სტაბილიზაციის და ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების მისაღწევად. პარტიის ლიდერებთან თათბირის დროს შტრეზემანმა დახატა გერმანიის ფინანსიურ მდგომარეობის სრული სურათი და მიუთითა იმ ღონისძიებებზე, რომლითაც მთავრობას სურს გადალახოს შექმნილი სიძნელენი. შტრეზემანმა აღნიშნა, რომ მთავრობა მზად არის უკიდურესობამდე წავიდეს ყოველგვარ ისეთ გამოსვლებს წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ხელს უშლის პოლიტიკურ მდგომარეობის განმტკიცებას.

ბერლინის ტრამვაი დადგა

ბერლინი. 24 აგვისტო. ბერლინის მუნიციპალიტეტმა გადასწყვიტა შეაჩეროს ქალაქის ტრამვაი და გაუშვას მთელი პერსონალი. მოძრაობა განახლდება კერძო საზოგადოებათა დახმარებით, მაგრამ აღარ ექნება ისეთივე ფართო ხასიათი, როგორც ძველად.

სასურსათო კრიზისი ბავარიაში

ბერლინი. 24 აგვის. ბავარიის მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ზომებისა, მცხოვრებთა სურსათით უზრუნველსაყოფელად. განზრახულია ბაზარზე ხორბლის გატანა დაწესებულ მტკიცე ფასებში.

პარიზი. 24 აგვის. ბავარიის მთავრობამ გამოაცხადა 1922 წლის მოსავლის რეკვიზიცია.

საქსონია მთავრობის კრიზისის მოლოდინშია

პარიზი. 24 აგვის. გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით საქსონიის პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა. სამთავრობო კრიზისი აუცილებელია.

ისტორიული დღე

(ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობის გამო)

დღევანდელი დღე ისტორიული დღეა საქართველოს ცხოვრებაში. სოციალისტური მოძრაობის და ოქტომბრის რევოლიუციის ისტორიკოსები დიდი ხნით შეჩერდებიან ამ მეტად მნიშვნელოვანი დღის წარმომშობ მიზეზების განხილვაზე.

დღეს გაიხსნება სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა, რომელმაც ჯამი უნდა გაუკეთოს ყოფილ მენშევიკთა სამაზრო კონფერენციების მუშაობას და შეუერთდეს მუშათა კლასის იმ საერთაშორისო ოჯახს, რომელიც გაერთიანებულია მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ძველ ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ქვეყნებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ პროლეტარიატის საერთაშორისო რაზმს ემატება დღეს ახალი რაზმი, რომელიც თავის ყოფილ ბელადთა წყალობით რამოდენიმე წლით ასცდა რევოლიუციონური მუშათა კლასის საერთო ბრძოლის გზას.

დღეს, 25 აგვისტოს ეს რაზმი ისევ ჩვენ რიგებს უბრუნდება, ისევ ჩვენთან ერთად ებმება ბრძოლის ფერხულში, რაც, რასაკვირველია, დიდ სიხარულს და აღტაცებას გამოიწვევს მთელი საბჭოთა კავშირის და საერთაშორისო მუშათა კლასის ბანაკში. ხდება ის, რაც დიდი ხანია უნდა მომხდარიყო, ხდება მუშათა კლასის ფრონტის მთლიანობის აღდგენა, რაც, რასაკვირველია, მეტად ცუდ გუნებაზე დააყენებს ევროპის ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ მეორე ინტერნაციონალის ბელადებს. ხდება თვითლიკვიდაცია საქართველოს უძლიერესი მენშევიკური პარტიის, რომლის ბელადებმა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში ამოყვეს თავი, ხდება იმ პარტიის თვითლიკვიდაცია, რომელიც ერთ დროს ჩვენი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი და ძალაუფლების მატარებელი იყო.

რევოლიუციას თავისი ლოღიკა აქვს, რევოლიუცია ბრძოლის პროცესშია და ამ ბრძოლის დროს შეუძლებელია ერთ წერტილთან გაყინვა. ყოველი მომქმედი პარტია აუცილებლად უნდა დადგეს ბრძოლის ხაზის, ბარიკადის ამა თუ იმ მხარეს. „არც მარცხნივ, არც მარჯვნივ“ რევოლიუციამ არ იცის, ის ლოღიკური აუცილებლობით მოითხოვს გარდამწყვეტ ისტორიულ მომენტში მაინც გარკვეულ ნაბიჯებს, ან მარცხნივ, ან მარჯვნივ დგომას. და მენშევიკთა ბელადები მარჯვნივ, კონტრ-რევოლიუციის ბანაკში მოექცენ.

ლიდერთა მიერ შემცდარ გზაზე დაყენებულ პარტიულ მასას შეეძლო მხოლოდ დროებით ამავე გზით სიარული, მაგრამ ბოლომდე ამ გზას ვერ შერჩებოდა ბრწყინვალე რევოლიუციონური წარსულის მქონე საქართველოს მუშათა კლასი. ის აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა პროლეტარული რევოლიუციის გზას, აუცილებლად მუშურ-გლეხური ხელისუფლებისთვის მებრძოლთა რაზმს უნდა შეერთებოდა. ასეც მოხდა. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მენშევიკურ პარტიის წევრმა მუშებმა მაინც მონახეს თავისი ადგილი სოციალისტური რევოლიუციის მსვლელობასა და განვითარებაში. ყოფილ მენშევიკთა სამაზრო და საქალაქო კონფერენციებზე მათ მთელი კაცობრიობის გასაგონათ განაცხადეს თავის შესვლის შესახებ კომუნიზმისათვის მებრძოლ მუშათა კლასის ბანაკში, დაჰგმეს რა თავის ბელადთა შეცდომები და ყალბი გზა.

როგორც ვთქვი, მენშევიკური პარტია უძლიერესი პარტია იყო საქართველოში, მას ხანგრძლივი ისტორია და წარსული აქვს. იყო დრო, როდესაც ეს პარტია რუსეთის მუშათა კლასთან შეთანხმებული გზით სიარულს სცდილობდა, ყოველგვარ დამოუკიდებელ, რევოლიუციისთვის საზიანო ნაბიჯებს ერიდებოდა. იყო დრო, როდესაც ამ პარტიის ლიდერები მთელი რუსეთის რევოლიუციის მესვეურობას კისრულობდენ და ბურჟუაზიულ პარტიებთან სრული თუ ნაწილობრივი შეთანხმების გზით სცდილობდნენ „ახალი ქვეყნის“ შენებას. მაგრამ რევოლიუციის შემდეგმა განვითარებამ უარყო მათი ოპორტიუნისტული გზა.

რუსეთში იმედგაცრუებულნი და დამარცხებულნი, ისინი ამის შემდეგ მთელს თავის იმედებს საქართველოზე ამყარებენ და ახდენენ აქ მთელ თავის ძალთა კონცენტრაციას, მოქმედების გაცხოველებას. ერთ დროს რუსეთის მუშათა კლასთან ერთობის და თანხმობის მოტრფიალენი ჩინურ კედელს მართავენ საქართველოსა და მუშურ-გლეხურ რუსეთს შორის, მაგრამ, მათდა სამწუხაროთ, ეს კედელიც მტკიცე არ გამოდგა. ისიც მალე დაინგრა. საქართველოშიც შემოანათა ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლიუციის ბრწყინვალე სხივებმა; საქართველოშიც გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ერთი დაკვრით მოსპო ერთა შორის ჩამოვარდნილი უნდობლობა, მტრობა და შუღლი; გადასჭრა საკითხები, რომელმაც არსებითად გააუმჯობესა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის მდგომარეობა, ფეხზე წამოაყენა დანგრეულ-დაზიანებული მეურნეობა და წინ ბრწყინვალე პერსპექტივები დასახა.

საბჭოთა მთავრობის და კომპარტიის მუშაობის დადებითი შედეგები თვალსაჩინო გახდა მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრებისთვისაც, განსაკუთრებით მათი მუშური ნაწილისთვის. გაქარწყლდა, გაიფანტა ის ჭორები და „უტყუარი ინფორმაცია“ საბჭოთა მთავრობის შესახებ, რომლითაც კვებავდენ და აბრმავებდენ მენშევიკური პარტიის ლიდერები მათზე დანდობილ მუშათა კლასის წრეებს.

შეირყა მენშევიკური პარტია, გაჩნდნენ პირველი მერცხლები, რომლებმაც გაბედულათ დაგმეს ძველი გზა და მტკიცედ გადასდგეს ნაბიჯი მესამე ინტერნაციონალისკენ. დაიწყო მასიური გამოსვლა მენშევიკური პარტიიდან, გაიმართა რაიონული, სამაზრო და საქალაქო კონფერენციები პარტიული მასისთვის ახალი გზების და მიმართულების გამოსარკვევად. და ყველა ეს კონფერენციები ერთხმად გმობენ თავის ლიდერთა შემთანხმებლობის და ბურჟუაზიასთან სოლიდარობის გზას. ყველა ისინი აცხადებენ სურვილს და გამოაქვთ დადგენილებები მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ გაერთიანებულ პროლეტარიატის რიგებში ჩადგომის შესახებ.

დღეს, 25 აგვისტოს იხსნება ამ კონფერენციების მიერ არჩეულ დელეგატთა სრულიად საქართველოს ყრილობა, დღეს ყოფილ მენშევიკთა სრულიად საქართველოს ყრილობა ახდენს თავის პარტიის ლიკვიდაციას და რამდენიც არ უნდა ილანძღოს ავანტიურისტების არალეგალურმა ცეკამ, მისი საქმე საბოლოოთ დაღუპულია. რევოლიუციამ ისინი კარგა ხანია გარიყა, განდევნა თავისი ბანაკიდან, დღეს კი მას თვით საკუთარი პარტიის უძველეს წევრთა საერთო ყრილობა აცხადებს გარიყულად, რევოლიუციონურ მუშათა კლასის ოჯახიდან სამუდამოდ განდევნილად.

დღეს მისი გლოვის, ხოლო საქართველოს მუშათა კლასის და ზეიმის, და სიხარულის დღეა. დღეს საქართველოს მუშათა კლასის გათიშვას დასასრული ეძლევა, დღეს საქართველოს გამოფხიზლებული მუშები კვლავ უბრუნდებიან თავის რევოლიუციონურ ოჯახს და მასთან ერთად იწყებენ ახალი ქვეყნის შენებას, კომუნიზმისათვის მებრძოლ რაზმების შევსებას და გაძლიერებას.

სალამი გამოფხიზლებულ პროლეტარებს და მათ ყრილობას.

გაუმარჯოს საქართველოს მუშათა კლასის გაერთიანებულ ოჯახს!

გაუმარჯოს კომინტერნს!

საკონტრიბუციო საკითხი

ამერიკელებს სურთ დახმარების გაწევა ევროპისათვის.

ნიუ-იორკი. 23 აგვისტო. გამოჩენილ საქმიან პირების ვაშინგტონის კომიტეტმა მიმართა კულიჯს მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნულია ამერიკის მონაწილეობის აუცილებლობა ევროპის საკითხების გადაჭრაში, რათა შემსუბუქებულ იქნეს ხორბლის მწარმოებელთა მძიმე მდგომარეობა და ამავე დროს განმტკიცდეს ამერიკის მრეწველობა. კულიჯს მიმართვაზე პასუხი არ გაუცია.

ბელგია იხილავს პასუხს ინგლისის ნოტაზე.

პარიზი, 23 აგვისტო. ოთხშაბათს ბელგიის მინისტრთა კაბინეტში გაირჩევა პასუხი ინგლისის ნოტაზე. ნოტაში ბელგია კანონიერად სცნობს რურის ოკუპაციას და სურვილს გამოსთქვამს, რათა ინგლისმა აღნიშნოს თანხა, რომლის მიღება მას სურს და აცხადებს, რომ მომავალში ყოველმხრივ ხელს შეუწყობს საფრანგეთ-ბელგიის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ინგლისი არ ჩქარობს პასუხით.

ლონდონი. 24 აგვისტო. საფრანგეთის ნოტის მიღების გამო ბალდვინს ხანმოკლე თათბირი ჰქონდა ზოგიერთ მინისტრთან,—მათ შორის ლორდ დერბი და ლორდ რობერტ სესილთან. თათბირმა გადასწყვიტა, რომ რადგან ორივე მხარემ სადავო საკითხებზე აშკარათ გამოსთქვა თავისი მოთხოვნილებები და შეხედულებანი, პასუხის დაჩქარება საფრანგეთის ნოტაზე არ არის სასურველი ან აუცილებლათ საჭირო.

ლონდონში კმაყოფილი არიან საფრანგეთის ნოტით.

ლონდონი, 24 აგვისტო საფრანგეთის ნოტას კარგად შეხვდენ ლონდონში, რადგან იქ დიდი ხანია სასურველათ სთვლიდენ საფრანგეთის თვალსაზრისის ნათელყოფას. გაზეთები არჩევენ ნოტას იმ სურვილით, რომ გამონახონ მასში მოკავშირეთა გაერთიანებულ მოქმედებების განახლების შესაძლებლობა. „ტაიმსი" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნოტის იმ განცხადებას, რომ საფრანგეთს არ სურს გერმანიის ტერიტორიის ანექსია და საფრანგეთის დაპირებას, რომ უკანასკნელი შესცვლის ოკუპაციის ხასიათს პასიურ წინააღმდეგობის გაუქმების შემთხვევაში. შესახებ საფრანგეთის პრეტენზიისა 52 მილიარდ მარკის ნახევარ წილის მიღებაზე დაზიანებულ ოლქების აღდგენისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავათ, „ტაიმსი" ამბობს: „შემცდარი ფიქრი იქნებოდა, თითქოს ინგლისის ნოტაში დასახულ პოლიტიკას საფუძვლათ უდევს ევროპაში ფულის მიღება ამერიკისადმი მისი ვალის გადახდამდე. ინგლისის ყველაზე უფრო მხურვალე სურვილია—სადავო საკითხების გადაწყვეტა ევროპის გაჯანსაღების მიზნით".

ბერლინში იმედები გაუცრუვდათ.

ლონდონი. 24 აგვისტო. „დეილი მეილი"-ს ცნობით ბერლინში საფრანგეთის ნოტამ იმედების გაცრუება გამოიწვია, რადგან გერმანიას იმედი ქონდა, რომ საფრანგეთი პოლიტიკურ ზედგავლენის და საფინანსო სიძნელეების გამო, რაც ინგლისის გავლენის შედეგია, ინგლისის თვალსაზრისს მიიღებდა.

საფრანგეთი არ სთმობს.

ბერლინი. 24 აგვისტო. ინგლისური დილის გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის ნოტაში პუანკარე არ სტოვებს თავის პოზიციას,—როგორც ყოველთვის შეურიგებელს და მტკიცეს,—და რომ ანტანტის გამაგრების ყოველივე ცდა აქამდე უნაყოფო იყო „ვესტმინსტერ გაზეტ"-ი ამბობს, რომ საფრანგეთის ნოტა „არც ერთ ნაბიჯს არ დგამს წინ". ბრიტანეთის მთავრობას ერთ დერთი გზა დარჩა,—იმოქმედოს დამოუკიდებლათ, ვინაიდან შემდეგი დაგვიანება ინგლისის ინტერესების კრახს გამოიწვევს. განსაკუთრებით საჭიროა სასწრაფოთ პასუხის გაცემა გერმანიის მემორანდუმზე.

პარიზში იმედი აქვთ.

პარიზი. 24 აგვისტო „ჟურნალ-დედება" მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ინგლისის პოზიციის ბუნდოვანებამ დაუშალა საფრანგეთის ნოტას სრულიად ნათელეყო თავისი თვალსაზრისი. მაგრამ, გაზეთი იმედოვნობს, რომ მოლაპარაკება შეიძლება დაიწყოს და შეთანხმებითაც დასრულდეს.

მართალია კი?

პარიზი. 22 აგვისტო. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ინგლის-საფრანგეთის ურთიერთ-დამოკიდებულება გამოკეთდა. პუანკარეს სიტყვის შემარიგებელ კილოს გამო, ფიქრობენ, რომ შტრეზემანი საფრანგეთთან დაახლოვების პოლიტიკას დაადგება. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი დიდ იმედებს ამყარებს პუანკარესა და ბალდვინის შეხვედრაზე.

იტალიის პრესა საფრანგეთის პასუხის შესახებ.

რომი. 22 აგვისტო. იტალიის პრესა საფრანგეთის პასუხს ინგლისისადმი შეურიგებლად სთვლის და საფრანგეთის მოთხოვნილებას 27 მილიარდის გადახდის შესახებ—გადაჭარბებულათ გაზეთ „იდეა ნაციონალე"-ის აზრით რურის ევაკუაცია გერმანიის მიერ ვალის გადახდის შემდეგ. ოკუპაციის დაუსრულებლათ გაგრძელებას ნიშნავს.

პუანკარემ დროებით დამალა ბრჭყალები.

პარიზი. 23 აგვისტო. შარველში წარმოთქმული სიტყვაში პუანკარემ განაცხადა, რომ განხეთქილება საფრანგეთსა და ინგლისს შორის ბოროტმოქმედება იქნებოდა. კამათს რურის ოკუპაციის კანონიერების შესახებ პუანკარე უაზროთ სთვლის და წინადადებას აძლევს ინგლისს, საფრანგეთთან ერთად შეუდგეს პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა გამომუშავებას. საფრანგეთის პრესა კმაყოფილია პუანკარეს მოულოდნელი ზომიერებით და იმედი აქვს, რომ პუანკარეს შეხვედრა ბალდვინთან ხელს შეუწყობს მეგობრულ დამოკიდებულებათა საბოლოო დამყარებას საფრანგეთსა და ინგლისს შორის და გაადვილებს საკონტრიბუციო საკითხის დადებითად გადაწყვეტას

ოკუპაციის გარშემო

ფრანგები მზად უნდა იყვნენ.

პარიზი. 24 აგვისტო. გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს დიუსელდორფში გენერალმა დეგუტმა განაცხადა, რომ პასიური წინააღმდეგობის დრო დადგება მაშინ, როდესაც გერმანიის მრეწველები აღიარებენ თავიანთ შეცდომებს. დეგუტის სიტყვით რურის მცხოვრებნი სრულიადაც არ არიან მტრულად განწყობილნი ოკუპანტებისადმი, საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ შეთქმულებაში დამნაშავენი არიან გერმანიიდან ჩამოსული საბოტაჟნიკები. მაგრამ თავის საუბრის დასკვნაში გენ. დეგუტმა აღიარა, რომ გერმანიის ხალხის კატეგორიულად მოითხოვს რევანშს და ამიტომ ფრანგები ყოველთვის მზად უნდა იყონო.

გადასახლება.

ბერლინი. 24 აგვისტო. ფრანგებმა გადაასახლეს დიუსელდორფიდან 44 უცნობი მოქალაქე.

კონფლიქტი ნახშირის მრეწველობაში.

ბერლინი. 24 აგვისტო. მაღაროების მეპატრონეთა შორის თავი იჩინა სერიოზულმა კონფლიქტმა. 65 მაღაროში, უმთავრესად ესსენსა და გელზენკირხენში დათხოვნილია 140,000 მუშა.

გერმანიის საპატიო ლეგიონის დაშლა.

ბერლინი. 24 აგვისტო. გენერალმა დეგუტმა გასცა ბრძანება დაიშალოს „გერმანიის საპატიო ლეგიონის საზოგადოება", რადგან იგი არღვევს საოკუპაციო ჯარების მშვიდობიანობის და საზოგადოებრივ წესრიგს.

ავსტრია.

სახელმწიფოებრივ მოსამსახურეთა შტატის შემცირება.

პარიზი. 24 აგვისტო. სახელმწიფოებრივ მოსამსახურეთა შტატების შემცირება გრძელდება, უკანასკნელ თვის განმავლობაში დათხოვნილია 916 კაცი.

ლოკაუტი.

რურის ოლქში მწარმოებლებმა გამოაცხადეს ლოკაუტი. სახელმწიფო სანახშირო წარმოებებში გელზენკირხენის მახლობლად მუშაობა შეწყდა, რადგანაც მუშებმა სამუშაო ხელფასის გარშემო შექმნილი კონფლიქტის ნიადაგზე, გამოაცხადეს იტალიური გაფიცვა.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

რუსეთ ამერიკის ხელშეკრულება

ნიუ იორკი. 23 აგვის. კულიჯის მეგობრების სიტყვით, პრეზიდენტს არ სურს ხელშეკრულების დადების გადადება, მაგრამ მას არ სურს აგრეთვე ზედმეტი დაჩქარებაც.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

„რაკოვსკის დანიშვნის გარშემო მომხდარი ინციდენტი მოგვარებული იქნება ახლო მომავალში".

ლონდონი. 23 აგვისტო. გაზეთ „ობსერვერ"-ს (ლიბერალურ მიმართულების) იმედი აქვს, რომ რაკოვსკის გარშემო მომხდარი ინციდენტი მოგვარებული იქნება ახლო მომავალში და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის მოქმედებით ახალი ბრალდება შექმნა თავის წინააღმდეგ იმის შესახებ, თითქოს იგი კონფლიქტებისაკენ მიისწრაფოდეს საბჭოთა მთავრობასთან.

ბიჩემის ტრესტის ხელმძღვანელი მოსკოვში

ლონდონი. 23 აგვისტო. ბიჩემის ტრესტის ხელმძღვანელმა გრინნემ, რომელმაც საალმშენებლო კონცესია აიღო მოსკოვში, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ხმები იმის შესახებ, თითქოს მოსკოვში შეუძლებელი იყოს მუშაობის დაწყება, სიცრუეა: მუშაობა გრძელდება განუწყვეტლივ და მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს 2,000 მუშა. ყველა საალმშენებლო მასალები—რუსეთის წარმოებისაა. რუსეთის მუშები საუცხოვოთ მუშაობენ. ადმინისტრაციის დამოკიდებულება საალმშენებლო მუშების მოსკოვის კავშირთან კარგია.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთი.

ლოზანას ხელშეკრულების რატიფიკაცია ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მიერ.

ლონდონი. 24 აგვისტო. გაზ. „დეილი მეილის" ცნობით ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ხუთშაბათს დაამტკიცა ლოზანას ხელშეკრულება 215 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 35-ისა.

როდის წავლენ ოკუპანტები.

ლონდონი. 24 აგვისტოს. მოკავშირეთა ჯარები პარასკევს შეუდგებიან სტამბოლის ევაკუაციას.

ხალიფის მილოცვა.

ანგორა. 21 აგვისტოს. ხალიფმა მიულოცა ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარეს აღნიშნულ კრების გახსნა.

ხელშეკრულება ჩეხო სლოვაკიასთან.

ანგორა 21 აგვისტო. დაიწყო მოლაპარაკება ჩეხო-სლოვაკიასთან ხელშეკრულების დადების შესახებ.

კამათი ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაზე ლოზანას ხელშეკრულების შესახებ.

ლონდონი. 22 აგვისტო. ლოზანას ხელშეკრულების შესახებ ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაზე გამართული კამათის დროს, ზოგიერთმა დეპუტატებმა გააკრიტიკეს ხელშეკრულება. შეეხო რა სამხრეთ-ოსმალეთის საზღვრის შეცვლას, სმირნის დეპუტატმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ ოსმალეთმა დაუთმო იტალიას კუნძულები, რომლებიც სტრატეგიულად დაკავშირებული არიან ანატოლიასთან. რაუფ-ბეი გამოვიდა ისმეტ-ფაშის მიერ მიცემულ თანხმობის წინააღმდეგ, რომლითაც საკითხი ოსმალეთის ვალის კუპონების გადახდის შესახებ გადაუჭრელი რჩება. მან გაილაშქრა აგრეთვე მოკავშირეებისადმი დათმობის წინააღმდეგ, რომლითაც მათ უფლება აქვთ დასტოვონ მათი სამხედრო გემები ოსმალეთის ნავთსადგურებში ზავის რატიფიკაციის შემდეგ. სივაზის და კონიის წარმომადგენლები მხარს უჭერდენ რაუფბეის.

სტამბოლის ევაკუაცია.

ბერლინი 22 აგვისტო. სტამბოლში დაიწყო ფორმალური მხარეების შესრულება მოკავშირეების მიერ დაკავებულ შენობების და ოსმალეთისათვის დასაბრუნებელ სამხედრო გემების გასანთავისუფლებათ.

ისმეტ-ფაშის მოხსენება ლოზანას ხელშეკრულების შესახებ.

ბორდო. 23 აგვისტო. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მოისმინა ისმეტ ფაშის მოხსენება ლოზანას ხელშეკრულების შესახებ. „ტან"-ის აზრით ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდება ამ კვირის დასასრულს. ოსმალეთის კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, ფეტხი ბეიმ განაცხადა, რომ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ დაიწყება მოლაპარაკება მოსულის და ოსმალეთის ვალების გადახდის შესახებ.

სხვადასხვა

პოლონეთი

როგორ ამხედრებენ ხალხს.

ვარშავა. 22 აგვისტო. იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა კორინიკმა სეიმში განაცხადა, თითქოს სახელმწიფოში მუშაობდეს ჯაშუშების ტერორისტული ორგანიზაცია კომუნისტების ხელმძღვანელობით,—კომპარტიის ცეკა აცხადებს, რომ კომპარტიას არაფერი საერთო არ აქვს ასეთ ორგანიზაციებთან და დასძენს, რომ კორნიკის განცხადების მიზანია საზოგადოების ამხედრება კომუნისტების წინააღმდეგ.

მევახშე საფრანგეთის ულტიმატუმი

ვარშავა. 22 აგვისტო. დანციგის გაზეთის ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ შემდეგი პირობები წარუდგინა მინისტრ კუხარსკის, რომელიც პარიზში გაემგზავრა მოლაპარაკებისათვის პოლონეთისათვის სესხის მიცემის შესახებ: საფრანგეთის საკონტროლო კომისიის შექმნა მთავრობასთან, სილეზიიდან გერმანიის კაპიტალის განდევნა და ნახშირის ექსპორტის შეწყვეტა გერმანიაში.

ბულგარეთი

სტამბულინსკის მომხრეთა პროცესი.

ვენა. 22 აგვისტო. ბულგარეთში დამთავრდა სტამბულინსკის მომხრეთა პროცესი. მიწად-მოქმედების ყოფილ მინისტრს სტამბულინსკის მთავრობაში—ობოვს და დეპუტატ მატოვს მიუსაჯეს 15 წლის ციხე, ორ ბრალდებულს—ათის და დანარჩენ ხუთს-რვა წლის ციხე. ბრალდებულთა დამცველმა, ყოფილმა მინისტრმა გონცოდნევმა განაცხადა, რომ ასეთი განაჩენი გააძლიერებს ბრძოლას ქალაქსა და სოფელს შორის.

„თავისუფალ" ბულგარეთში.

ვენა. 22 აგვისტო. სოფიის ვექილების პალატამ აუკრძალა ბულგარეთის ვექილებს დამცველებად გამოსვლა სტამბულინსკის მთავრობის მინისტრების პროცესზე იმიტომ, რომ მინისტრები აწყობდენ პოლიტიკურ მკვლელობებს.

სანამდი მიდის მთავრობის ტერორი.

ვენა. 23 აგვისტო. სტამბულინსკის მთავრობის ყოფილი მინისტრი დასკალოვი თავის მოწოდებაში საფრანგეთის, ამერიკის, ინგლისის, იტალიის, ჩეხო-სლოვაკიის და სამხრეთ-სლავიის მთავრობების მიმართ, აღწერს რა ბულგარეთის ახალი მთავრობის ტერორისტულ რეჟიმს, ითხოვს ინტერვენციას ამ შევიწროების შეწყვეტის მიზნით.

საბერძნეთი

ინგლისის მთავრობის განცხადება.

ბერლინი. 22 აგვისტო. ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ ის იცნობს საბერძნეთის მთავრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ცნობილი იქნება საბერძნეთის პარლამენტის მიერ.

აფრიკა

აჯანყება მაროკოში.

რომი. 22 აგვისტო. ესპანეთის ჯარების შეტაკების დროს აჯანყებულთა რაზმებთან, პირველები იძულებული იყვნენ დაეხიათ ტეტუანისაკენ; მათ დაჰკარგეს 133 ჯარისკაცი და 13 ოფიცერი. ესპანეთის მთავრობამ გაგზავნა ახალი ძალები და გამოაცხადა სათადარიგო ოფიცრების მობილიზაცია.

ბერლინი. 22 აგვისტო. მაროკოში შექმნილი მდგომარეობის გამო, ესპანეთის მთავრობამ გაგზავნა მელილუში ახალი ძალები.

უნგრეთი

მთავრობის კრიზისის მოლოდინში.

ვენა. 22 აგვისტო. მოკავშირეთა სარეპარაციო კომისიის მიერ უნგრეთის სესხის საკითხის გადაუჭრელობამ გააუარესა უნგრეთის ფინანსიური მდგომარეობა. თუ ბეტლენი ვერ მოახერხებს ერთა ლიგისაგან დახმარების მიღებას, მთავრობის კრიზისი აუცილებელია.

ინგლისი.

გაუმჯობესება მუშების გაყვლეფით.

ლონდონი. 22 აგვისტო. გამოქვეყნებული ანგარიში რკინის გზების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოწმობს მათ ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, რკინის გზელებისათვის სამუშაო ხელფასის შემცირების გამო შესაძლებელია ამ ციფრების გამოქვეყნებამ მღელვარება გამოიწვიოს რკინის გზის მუშებს შორის.

რიცხვი უმუშევართა იზრდება

ლონდონი. 22 აგვისტო. ოფიციალური ცნობებით, უკანასკნელი კვირის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 20,000 კაცით.

სერბია

ხორვატები იბრძვიან თვითგამორკვევისათვის.

ვენა. 22 აგვისტო სერბიის პარტიის მიერ ხორვატიის ხალხის სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, ნაციონალურ და კულტურულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმის გამო, საპარლამენტო კლუბმა გადასწყვიტა შესწყვიტოს მოლაპარაკება ბელგრადთან და მისცეს რადიჩს დიპლომატიური უფლებები, რათა მშვიდობიანი გზით შეძლოს ხორვატელების თვითგამორკვევის უფლების მოპოვება.

ესპანეთი

ცნობილი კომუნისტი ქალის—გონზალეის სიკვდილი

პარიზი. 22 აგვისტო. გარდაიცვალა ცნობილი ესპანელი კომუნისტი ქალი—ვირგინია გონზალეი, ესპანეთის კომპარტიის მდივანის და, რომელმაც თავისი ენერგიული მუშაობით ხელი შეუწყო პარტიის დაარსებას.

ირლანდია

საპროტესტო მიტინგი მთავრობის ტერორის წინააღმდეგ.

ლონდონი. 23 აგვისტო. საარჩევნო კამპანია ირლანდიაში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. რესპუბლიკანელებმა მოიწვიეს მასიური საპროტესტო მიტინგი მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ, რომელზედაც გამოვიდა დე ვალერას 12 წლის შვილი. ფაქტიურათ ტარდება საერთო გაფიცვა. დაიკეტა 150 სახელოსნო იმის გამო, რომ მწარმოებლებმა მოინდომეს შრომის ხელფასის შემცირება. გაიფიცენ აგრეთვე ნავთსადგურის მუშები, რაც მეტათ ართულებს ქალაქის მდგომარეობას სურსათის მიწოდების მხრივ.

შვეცია.

კომუნისტები იცავენ ღარიბებს.

სტოკჰოლმი. 23 აგვისტო. სტოკჰოლმში შესდგა ორი მიტინგი, რომელიც მოწყობილი იყო კომპარტიის მიერ; მიტინგები მიმართული იყო საბინაო კრიზისის წინააღმდეგ, რომელიც გამოწვეულია სახლების მეპატრონეთა თვითნებობის შემზღუდავ კანონის გაუქმებით.

კომუნისტები მოუწოდებენ ერთიანი ფრონტით გამოსვლისათვის მუშებისა და წვრილ ბურჟუაზიის ოჯახების დასაცავათ, რომელთაც გამოსახლება ელით.

უცხოეთის ცხოვრება

რა ძალებს ეყრდნობა ბულგარეთის ახალი მთავრობა

ბულგარეთის პრემიერ მინისტრმა ცანკოვმა ერთ თავის სიტყვაში განმარტა ახალი მთავრობის ზოგადი პროგრამა. მუშებმა და გლეხებმა უნდა იცოდენ ეხლა რომელ კლასებს და საზოგადოებრივ წრეებს ემყარება ეს მთავრობა, რათა უკეთ გაითვალისწინონ თუ რას უნდა მოელოდენ ისინი მისგან, ვინაიდან მთავრობის პოლიტიკა იქმნება არა ამა თუ იმ მინისტრის, არამედ იმ სოციალურ ძალების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ მის საფუძველს. მთავრობა შემდეგ გვარათ არის შემდგარი:

ხუთი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტია წარმოდგენილი არიან მთავრობაში თითო მინისტრით: სახალხო პარტია, ლიბერალური პარტია, დემოკრატები, რადიკალები და მენშევიკები. ამათ გარდა მთავრობაში შედის კიდევ ხუთი მინისტრი, რომლებიც თავის თავს „უპარტიოს" უწოდებენ: სამი ოფიცერი და ორი პროფესორი,—„ნაციონალურ ერთიანობის" კავშ. წევრნი. სამი ძველი ბურჟუაზიული პარტია—სახალხო, ლიბერალები და დემოკრატები—წარმოადგენენ ქალაქებში მცხოვრებ მდიდარ კლასთა,—კაპიტალისტ მეწარმეების, მსხვილ ვაჭრებისა და სპეკულიანტების,—ინტერესებს. ამ პარტიებს ეკუთვნის მრავალი სპეკულიანტი, რომლებიც საშინლათ გამდიდრდენ ომის დროს ყოველგვარი საშუალებით. ამ პარტიაშივე შედიან სახელმწიფო სამსახურში გამდიდრებული უმაღლესი მოხელეები.

იმავე ბანაკს ეკუთვნიან მრავალი მიწის მფლობელნი, მსხვილი გლეხობა,—ე. წ. „კულაკები",—და სოფლის ჩარჩ-მევახშეები ეს სამი პარტია შემდგარია წინანდელ 6 პარტიისაგან. სახალხო პარტია რამოდენიმე ხნის წინეთ ცანკოვის პარტიას შეუერთდა და ნაციონალ-ლიბერალური კი როდოსლავოვის, სტამბოლოვისა და ტონჩევის პარტიების გაერთიანებას წარმოადგენს ძველმა პარტიებმა გადაითქვეს თავიანთი სახელები იმ იმედით, რომ ამით ხალხი დაივიწყებს მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებსა და ძალმომრეობას.

ეს პარტიები 40 წლის განმავლობაში განაგებდენ ბულგარეთის ხალხის ბედ იღბალს. ისინი პასუხისმგებელი არიან 1887 წლიდან 1894 წლამდი სტამბოლოვის ძალადობისათვის; 1894—1898 წლების „სახალხო პარტიის" ძალმომრეობისათვის; როდოსლავოვის დროს 1899—1902 წლებში მათრახის რეჟიმისათვის და სტამბოლოვის მომხრეთა ძალმომრეობისათვის 1903—1907 წლებში. დასახელებულმა პარტიებმა ბულგარეთი ორჯერ ჩაითრიეს სისხლისმღვრელ ომში, გაჟლიტეს ბულგარეთის 200,000 შვილი და ორჯერ კატასტროფა დაატრიალეს ქვეყანაში.

მაშასადამე ახალ მთავრობის მთავარ საფუძველს მსხვილ ბურჟუაზიისა და „კულაკობის" პარტიები წარმოადგენენ.

მთავრობის მეორე ბურჯია წვრილბურჟუაზიული პარტიები—რადიკალები და მენშევიკები. ამ პარტიებს შეადგენენ წვრილი ხელოსნები, მოხელეები, გლეხები, მასწავლებლები და, აგრეთვე ვაჭრები. ამ ორი პარტიის ძალა და გავლენა უმნიშვნელოა: ისინი არ წარმოადგენენ მთავრობის არსებითი საძირკველს. ისინი მიღებულ იყვნენ მთავრობის შემადგენლობაში იმ მიზნით, რომ ერთგვარი შემარცხენლობის ელფერი მიეცათ მთავრობისათვის და, ამ გვარათ, მოეტყუებინათ მუშები და ღარიბი გლეხობა.

დაბოლოს, მთავრობის მესამე ბურჯს წარმოადგენს „ნაციონალურ ერთიანობის" კავშირი, რომელიც სტამბოლინსკის დროს დაარსდა როგორც საიდუმლო ორგანიზაცია აგრარულ მთავრობის ჩამოსაგდებათ. ამ კავშირს ეკუთვნიან ოფიცრები, როგორც ნამდვილ სამსახურში მყოფნი, აგრეთვე სათადარიგონი, პროფესორები, ინტელიგენტური ახალგაზრდობა, ინჟინრები, ადვოკატები და სხვა. „ნაციონალურ ერთიანობის" კავშირში ჩვენ შევხვდებით, აგრეთვე, უმაღლეს ოფიცრებს, რომლებიც თავიანთ სოციალურ მდგომარეობით შეძლებულ ბურჟუაზიას ეკუთვნიან და რომლებიც, მაშასადამე, უთანაგრძნობენ ძველ ბურჟუაზიულ პარტიებს. მაგრამ მასშივე შედიან ნამდვილ სამსახურისა და სათადარიგო ოფიცრები საშუალო და ღარიბ საზოგადოებრივ წრეებიდან. ამ ოფიცრებმა თან შემოიტანეს პარტიაში „სამშობლოს დახსნის იდეოლოგია". მაგრამ ისინი უკვე კარგავენ კავშირს მშრომელ ელემენტებთან, რათა ადგილი დაიკავონ ბურჟუაზიულ პარტიების უკან.

ყოველივე ეს ნათლათ მეტყველებს, რომ ეხლანდელი მთავრობა უმთავრესათ ბურჟუაზიასა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ემყარება. ამიტომ მისი ზრუნვა პირველყოვლისა მიმართულია ნაციონალურ კაპიტალის გაძლიერებასა და კაპიტალისტურ წესწყობილების ყოველ საშუალებით დაცვაზე.

მშრომელთა დიდი უმრავლესობა,—ქალაქის მუშები და ღარიბი გლეხობა არ იღებს, მაშასადამე, არავითარ მონაწილეობას მთავრობაში და მათ არ შეუძლიათ ქონდეთ რაიმე იმედი მთავრობის მიერ მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

მენშევიკური პარტიის დაშლა

ყოფილ მენშევიკების სრ. საქ. ყრილობის გარშემო

ტფილისში უკვე ჩამოვიდნენ ყრილობის დელეგატები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეებიდან და მოთავსებული არიან საერთო ბინაზე.

მიღებულია დეპეშა ამხ. მარტინოვისაგან (მოსკოვი), რომ ის უკვე გამოემგზავრა ყრილობაზე.

წალკის რაიონის ყოფილ მენშევიკების საერთო კრება

12 აგვისტოს, ხრამის კლუბში გაიხსნა წალკის რაიონის ყოფილ მენშევიკების საზოგადო კრება.

დღის წესრიგში იყო დასმული: 1. პროლეტარიატის დიქტატურა თუ დემოკრატია; 2) ბოლშევიკების და მენშევიკების ტაქტიკა და მენშევიკების დაშლა; 3. ეროვნული საკითხი; 4. 2 დელეგატის არჩევა ყოფილ მენშევიკების სამაზრო კონფერენციაზე და 5. მიმდინარე საქმეები.

პირველად გააკეთა მოხსენება პ. იოანიდიმ პროლეტარიატის დიქტატურის და დემოკრატიის შესახებ. მან მოკლეთ დაასურათა ბოლშევიკების და მენშევიკების უთანხმოების მომენტები და აღნიშნა მენშევიკების გაქცევა, რომელიც მიმართულია ბურჟუაზიისთან დაახლოვებისა. და ეროვნული შუღლის გამოწვევისაკენ. ის ესალმება საბჭოთა ხელისუფლებას და მოუწოდებს ყველა ამხანაგებს ყოფ. მენშევიკებს, შეუერთდენ 3 ინტერნაციონალს და ამით შექმნან ერთიანი მუშათა ფრონტი

კ ანანაკოვი ვრცლად შეეხო სოციალისტურ პარტიებს, მენშევიკების და ბოლშევიკების ერთსულოვან მუშაობას და შემდეგ მათ უთანხმოებას 1903 წლიდან; მან აღნიშნა იმ მენშევიკების შეცდომები, რომელნიც აშკარად გადადიან ბურჟუაზიის ბანაკში.

კ ხრისტიანოვი ამბობს: „ჩვენ დავრწმუნდით, რომ მხოლოდ ბოლშევიკებას პარტია არის ერთად ერთი დამცველი მშრომელთა მასების, გლეხების და მუშების ინტერესებისა. დღევანდელი კრება ესალმება კომპარტიას".

პანოკა იოანიდი ლაპარაკობს ეროვნულ საკითხის შესახებ დ აღნიშნავს რომ ეს რთული საკითხი სავსებით სწორად გადაიჭრა კომპარტიის 12 ე ყრილობაზე. მენშევიკები კი ეროვნულ საკითხს სჭრიდენ ეროვნებათა ურთიერთ გაჟლეტის სახით.

ყოფილ სახალხო გვარდიელების სახელით ლაპარაკობს ილია იოანიდი.

„მე მოტყუებით ვიყავი ჩაწერილი გვარდიაში; ჩამაცვეს და დამახურეს. მე და ჩემი ამხანაგები წაგვიყვანეს მანგლისში, იქიდან ტფილისში და შემდეგ ომში—აზერბეიჯანთან. როდესაც ჩვენ გავიგეთ, გვაგზავნიდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელნიც არიან გლეხების და მუშების დამცველნი, ჩვენ გავიფანტეთ, ზოგიერთები გადავიდენ საბერძნეთში, ერთმა ჩვენგანმა კი თვითონ დაიჭრა თავი და განთავისუფლებულ იქნა სამსახურიდან, ამიერიდან მე და ჩემი ამხანაგები გავდივართ მენშევიკურ პარტიიდან".

სამაზრო კონფერენციის დელეგატებად ირჩევენ პეტრე იოანიდის და პეტრე პასენოვს.

მიმდინარე საქმეებში აღნიშნული იყო, რომ მენშევიკურ პარტიის დაშლის შემდეგ, ესერების პარტიაც შესწყვეტს არსებობას საქართველოში. ესერების ერთ-ერთმა ლიდერმა, საქართველოს ესერების ცეკას წევრმა, პავლე ცანდეროვმა უკვე განაცხადა პარტიიდან გამოსვლის შესახებ. ამგვარად ესერების პარტიის დაშლაც ფაქტია.

ბოლოს მიღებული იქნა შემდეგი

დეკლარაცია:

„საქართველოს სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) მოღვაწეობამ ერთის მხრივ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 2 ნახ. წლის მუშაობამ მეორეს მხრივ დაამტკიცა შემდეგი:

1. მენშევიკების დამოკიდებულება რუსეთის მუშათა ოქტომბრის რევოლიუციისადმი იყო მღალატური, ვინაიდან საქართველოს მენშევიკური მთავრობა იმის მაგიერ, რომ ძმური ხელი გაეწოდებია რუსეთის პროლეტარიატისათვის, აქტიურად უწევდა დახმარებას ყოფილ გენერლებს და მემამულეებს დენიკინის, ვრანგელის, კოლჩაკის და კონტრ-რევოლიუციის სხვა სულისჩამდგმელების მეთაურობით.

2. გასწყვიტეს რა კავშირი რუსეთის პროლეტარიატთან, მენშევიკები თავისი მთავრობის მეთაურობით გადავიდენ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის ბანაკში, რომელიც უკანტროლოთ თარეშობდა საქართველოს ტერიტორიაზე მენშევიკების ბატონობის ხანაში.

3. ჰკიცხავს რა მენშევიკურ პარტიის კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მენშევიკურ პარტიის წალკის რაიონის ყოფილი წევრების საზოგადო კრება ვადგენთ:

ა) იმ დროს, როდესაც შავ-ბნელი რეაქცია საერთაშორისო მასშტაბით გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასების წინააღმდეგ, ჩვენ ვერ ავირჩევთ სხვა გზას, თუ არა შეგნებულათ მებრძოლ პროლეტარიატის რიგებში, დადგომას; ბ) ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ყოველგვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არის რეაქციონური ბრძოლა, რაც აშკარად დაამტკიცა რევოლიუციის მიმდინარეობამ და ამიერიდან, ვსწყვეტავთ რა კავშირს მენშევიკურ პარტიასთან, ვკიცხავთ და შერცხვენას უთვლით რა ემიგრანტების ლაქიურ ჯგუფს: ჟორდანიას, რამიშვილს და სხვ. მეთაურობით, ჩვენ მოუწოდებთ ყველა პარტიისან ამხანაგებს შეგვიერთდენ ჩვენ გაუქმებულად ვაცხადებთ მენშევიკურ პარტიას წალკის რაიონის მასშტაბით და წინადადებას ვიძლევით სასწრაფოთ იქნეს მოწვეული სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობა.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

გაუმარჯოს III კომინტერნს!

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას!

გაუმარჯოს მუშათა ერთიან ფრონტს".

დეკლარაციას ხელს აწერენ მენშევიკურ პარტიის ყოფილი წევრები

პეტრე იოანიდი, ნიკოლოზ იოანიდი, სპირიდონ მაზმანოვი, თეოფილე ჩაგულოვი, ალექსი შიქაძე, კონსტ. სარიევი, გიორგი სპირიდონოვი, ილია იოანიდი, მიხეილ ნეფიდოვი, აბრამ დათოვი, აბრამ კარსინევი, ქრისტეფორე იოანიდი, კირიაკ იაგუბოვი. ა. მაზმანოვი, ა. კარიბოვი, ჩერმიდოვი, ანასტასი აფანასოვი, დანიელ ტირიდატოვი, სოფრომ შილოვი, იოკიმე კიურჯიევი, პანოკა იოანიდი, პავლე იორბალიდი, თედორე ჩაკალოვი, გიორგი სარიევი, ივანე პოლიტოვი, ელისე კარიმოვი, დანიელ კარიმოვი, დიმიტრი პარასკევოვი, კონსტ. ხრისტიანოვი, პეტრე აბსენოკი, კირია ანანიკოვი, კლემენტი მანუშაროვი, ისააკი მიხაილოვი, ი. იატუმოკი.

საზოგადო კრების დახურვამდე შემოდის წინადადება შეკრებილ იქნეს შემოწირულება ჰაეროპლან „ბოლშევიკის" სასარგებლოთ. შეკრებილ იქნა 300,000,000 მან.

სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა

გაიხსნება

დღეს, **25 აგვისტოს,**

საღამოს 6 საათზე, **რუსთაველის თეატრში.**

შესვლა შეიძლება მხოლოდ სადელეგატო მანდატებით და სასტუმრო ბილეთებით.

საინიციატივო ბიურო.

ყოფილ მენშევიკების ყრილობის დელეგატების საყურადღებოთ.

დელეგატებმა, რომლებიც ჩამოდიან ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობაზე, უყოველგვარ შეკითხვით

უნდა მიმართონ

საინიციატივო ბიუროს, რომელიც მოთავსებულია სასტუმრო „ნოე"-ში, ოთახი № 92 (პლეხანოვის ქ. № 103). იქვე აძლევენ მანდატებს.

საინიციატივო ბიურო.

ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის დაშლა ქალ. ფოთში

მიმდინარე წლის ორ აგვისტოს გამოშვებულმა ყოფილ მენშევიკების ფოთის კონფერენციის მიმართვამ ახალგაზრდა მარქსისტებისადმი, სადაც ის მოუწოდებდა მათ დაეგმოთ ძველი გზა და გადასულიყვნენ პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე, არ ჩაიარა უნაყოფოთ და ჰპოვა თავისი გამოძახილი ფოთის ახალგაზრდებში. რამდენიმე დღის შემდეგ ყოფ. მენშევიკების კონფერენციისა შესდგა საინიციატივო ბიურო ახალგაზრდა მარქსისტებისა, რომელმაც დაისახა მიზნათ ახალგაზრდა მარქსისტების კრების მოწვევა, რისთვისაც გამოუშვა სათანადო მოწოდება და დანიშნა კრების დღე 19 აგვისტო.

კვირას, 19 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ფოთის თეატრ „კომეტა"-ში გაიხსნა საერთო კრება. კრებას დაესწრო ყოფილი მენშევიკური პარტიის წევრების საინიციატივო ბიურო. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული გიორგი სარიშვილი და მდივნათ ბიძინა დოლიძე.

პირველათ წარმოსთქვა სიტყვა ამხ. სიმონ გოგიბერიძემ ყოფილ მენშევიკების საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა მენშევიკური პარტიის განვითარების ეტაპები და დაახასიათა ვრცლად მისი მოქმედება რევოლიუციის დროს. ის დაწვრილებით შეეხო უკანასკნელ ხანებში მომხდარ მენშევიკურ პარტიის დაშლას და მის მიზეზებს.

ეს ასეც უნდა მომხდარიყოო,—ამბობს ის,—ისტორიამ სწორ გზაზე მიუთითა მენშევიკურ პარტიის წევრებს. საქართველოს მენშევიკები დიდი რუსეთის პატრიოტები ვიყავით და როდესაც ვინმე კულტურულ ავტონომიაზედ ჩამოაგდებდა ლაპარაკს ძნელად, მას ნაციონალისტათ ვნათლავდით. მაგრამ დიად ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საქართველოს მენშევიკებმა სრული სეპარაცია გამოაცხადეს და აი ამ დროს ეკუთვნის ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის შექმნა საქართველოში. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში ისინი ვერ გახდებოდნენ ნამდვილი მარქსისტები, რადგანაც საქართველოში მენშევიკების მიერ აღებული ხაზი არ იყო მარქსისტული და ახალგაზრდობა კი მათ მიყვებოდათ. ეხლა კი დროა ახალგაზრდები ჩაუკვირდენ კომუნისტების მუშაობას, უკუაგდონ ყოველივე ძველი და გახდნენ ნამდვილი რევოლიუციონერები.

დაბოლოს ის მოუწოდებს მათ მოღვაწეობისაკენ პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე და კომკავშირთან ერთად მუშაობ საკენ რევოლიუციის საკეთილდღეოთ.

სიტყვა ეძლევა ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის წევრს ამხ. ისიდორე კუპრაძეს, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ არ გვაქვს იმხელა რევოლიუციონური წარსული, როგორც ჩვენ უფროს ამხ. მენშევიკებს, მაგრამ მაინც საკმაო დიდი მუშაობა გვქონდა ამ მოკლე დროშიაც, მენშევიკების სიტყვა ერთი იყო და საქმე მეორე. წაიკითხეთ ნოე ჟორდანიას ნაწერები ეროვნულ საკითხზე და შეადარეთ მის პრაქტიკაში გატარებას საქართველოში. აქ სრული წინააღმდეგობა. მათმა საქმეებმა დაგვარწმუნეს ჩვენ, რომ ისინი სცდებოდნენ და ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია. ვიყვეთ მათი საქმის გასაგრძელებლათ, ჩვენ ვგმობთ ლოზუნგს „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ" სვლას და ვუერთდებით, მეორე ლოზუნგს „დიქტატურით სოციალიზმისაკენ" მე მოუწოდებ ყველა ამხანაგებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს, დაგმონ თავისი ძველი გზა და დაადგენ ნამდვილ სწორ რევოლიუციონურ გზას, რადგანაც ჩვენ მუშები ვართ და სხვა გზა ჩვენთვის არ არსებობს.

უნდა აღინიშნოს, რომ მისი სიტყვა იყო სრული აღსარება, აღსარება უფროს ამხანაგების წინაშე. ის გულდაჩაგრული იგონებდა ძველ წარსულს და ფიცსა სდებდა მუშების წინაშე არ ვუღალატო მათ მომავალში.

კრების თავმჯდომარე ამხ. გიორგი სარიშვილი აცხადებს შემდეგს: მენშევიკების დროს შეიქმნა ახალგაზრდა მარქსისტული ორგანიზაცია, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო მარქსიზმის მეცნიერული შესწავლა, მაგრამ შემდეგ, პარტიული დისციპლინის ძალით ჩაგვითრიეს სულ სხვა საქმეებში და ბევრი ახალგაზრდობის გონება გარყვნეს. ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ჩვენ გულზე ხელდაკრეფილი არ შეგვიძლია ვიყოთ, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ რევოლიუციონურ რიგებში. დღეს აღარ არის ორი გზის მეტი: პროლეტარიატის დიქტატურა თუ ბურჟუაზიისა. მესამე გზა არ არსებობს. ილაპარაკეს კიდევ რამდენიმე ამხანაგებმა, რომლებიც სრულიად ეთანხმებიან ზემოხსენებულ სიტყვას.

დაბოლოს მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება ახალგაზრდა მარქსისტების ფოთის ორგანიზაციას დაშლილათ აცხადებს და მოუწოდებს სხვა მაზრებს წაბაძონ მის მაგალითს და დადგენ პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე. შემდეგ კრება მოითხოვს მოწვეულ იქნას მთელ საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდათა მარქსისტების ორგანიზაციის კონფერენცია, სადაც უნდა გამომუშავდეს საერთო გეგმა მომავალი მუშაობისა.

რეზოლიუცია აღიარებს, რომ გზა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის არ იყო სწორი, რევოლიუციონური და ამაში ბრალს სდებენ თავის უფროსს ამხანაგებს მენშევიკებს, რომლებმაც ისინი დააყენა არა მარქსისტულ გზაზე.

კრებამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა სრულიად საქართველოს მენშევიკების კონფერენციას და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა. აგრეთვე აირჩია ერთი წევრი ამხ. ბიძინა დოლიძე ზემოაღნიშნულ კონფერენციაზე დასასწრებლათ.

პ. მეგრელიშვილი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

დანციგი.

სამუშაო ხელფასის სტაბილიზაცია.

ვარშავა. 22 აგვისტო. საყოველთაო გაფიცვით შესაძლებელი გახდა სამუშაო ხელფასის სტაბილიზაცია ოქროს კურსით, ომამდე არსებულ ხელფასის ნახევრის რაოდენობით. მეწარმოებლებმა უარი სთქვეს რეპრესიებზე გაფიცვის მონაწილეების წინააღმდეგ.

ბულგარეთი.

მუშათა საპროტესტო დემონსტრაციები კომუნისტების დევნის წინააღმდეგ

ვენა. 23 აგვისტო. მიუხედავათ მთავრობის განკარგულებისა, მთელს ბულგარეთში შესდგა მუშათა მასიური საპროტესტო დემონსტრაციები სიკვდილის განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც პლევნას კომუნისტებს მიუსაჯეს.

მექსიკა.

ტრამვაის მოსამსახურეების გაფიცვა.

ნიუ იორკი. 23 აგვისტო. ქალაქ ვერაკრუცში (მექსიკა) გაიფიცენ ტრამვაის მუშები, რამაც შეაჩერა ქალაქის ცხოვრება. გაფიცულებმა თხოვნით მიმართეს რკინისგზის კავშირების ფედერაციას და გენერალურ მუშათა ფედერაციას მექსიკაში, გამოაცხადონ საერთო გაფიცვა თანაგრძნობის ნიშნათ.

საქართ. პარტიულ საბჭოთა პრესის
ცენტრალურ კანტორისაგან ყოფილი გაზტრესტი,
რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5 43.

ენკენ სთვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელისმოწერა ქალაქში შინ მიტანით . . .	4.000.000
„ „ „ ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	4.500.000
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის . . .	3.000.000
ერთი ეკზემპლიარი . . .	175.000

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა . . .	70.000
ერთი ეკზემპლიარი . . .	400 000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს 1 ენკენისთვიდან შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

0—1

ორშაბათს, 27 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე,
სახალხო სახლში,
ქორესის ქუჩაზე (ყოფ. კირკის ქ)
მოწვეულია

ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა მომხსენებელი ვ. მესხი.
2. სახალხო განათლების განყოფილების ანგარიში. მომხს. ვ. ქაცარავა.

დასწრება საბჭოს ყველა წევრებისა სავალდებულოა.

681—2—1 პრეზიდიუმი.

ინგლისი.

სამშენებლო მუშების გამარჯვება.

ლონდონი. 23 აგვისტო. 21 აგვისტოს გამოქვეყნდა სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ კონფლიქტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მწარმოებლებსა და სამშენებლო მრეწველობის მუშებს შორის. სამედიატორო სასამართლო აწესებს წლიურ ნორმას—44 სამუშაო საათს კვირაში, გარდა აპრილ ენკენისთვის პერიოდისა, როდესაც ნორმა გადიდდება 46 ნახ. საათამდის. სამშენებლო მუშების ტრედ-უნიონის წარმომადგენლების განცხადებით, მუშებმა გაიმარჯვეს.

საბერძნეთი.

საერთო გაფიცვა.

ვენა. 23 აგვისტო. საბერძნეთში იფეთქა საერთო გაფიცვამ, რომელიც გამოწვეულია მწარმოებლების ცდით შეამცირონ შრომის ხელფასი. წყლით მიმოსვლა მთელს ქვეყანაში შეჩერებულია. გაფიცვა დაიწყეს აგრეთვე სოფლის-მეურნეობის მუშებმა, რომელთაც სოლიდარობის ნიშნათ მიემხრენ დანარჩენი მუშებიც. მთავრობამ დაითხოვა მუშათა ორგანიზაციები და კონფისკაცია უყო იმ თანხებს, რომელნიც მუშათა საავადმყოფო კასებისათვის იყო დანიშნული.

120.000 გაფიცული.

ვენა. 23 აგვისტო. საბერძნეთის პროფკავშირთა საბჭომ საერთო გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცულთა საერთო რიცხვი 120.000 კაცს უდრის. მიუხედავათ დატუსაღებისა და მთავრობის მიერ სპეციალურ სამხედრო ტრიბუნალის დაარსებისა, ყველგან იმართება მუშათა მასიური კრებები. მთავრობამ მუშების მობილიზაცია გამოაცხადა.

პროფინტერნში

აღმასრულებელი ბიუროს სხდომა.

მოსკოვი. 23 აგვისტო. პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამსტერდამის ინტერნაციონალის პასუხი სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს წინადადებაზე ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. ამსტერდამის ინტერნაციონალი ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებელ პირობათ აყენებს რევოლიუციონურ პროფკავშირების მიერ ამსტერდამის ინტერნაციონალის და მისი შემადგენელი ორგანიზაციების წინააღმდეგ მტრული მოქმედების და პროპაგანდის შეწყვეტას. ამას გარდა რუსეთის მუშებმა თავისი ბრძოლის და მუშაობის დროს უნდა იხელმძღვანელონ იმ მეთოდებით, რომელსაც მიმართავს ამსტერდამის ინტერნაციონალი. კერძოთ კი ამსტერდამის ინტერნაციონალი უარყოფს სამოქალაქო ომის კანონიერებას.

პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა განსაკუთრებული დეკლარაცია გამოაქვეყნოს ამსტერდამის ინტერნაციონალის მოქმედების შესახებ.

საბჭოთა კავშირში

ამხ. ვასილიევი—ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი მონღოლეთში.

მოსკოვი, 23 აგვისტო. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენლად მონღოლეთში დაინიშნა ამხ. ვასილიევი.

დემონზი ცენტროსოიუზში.

მოსკოვი 23 აგვისტო. საფრანგეთის სენატორმა დემონზმა ინახულა ცენტროსოიუზი და დაინტერესდა ს. ს. რ. კ. კოოპერაციის მდგომარეობით, მისი ოპერაციებით და მუშაობით.

მუსლიმანების მადლობა.

ტაშკენტი. 23 აგვისტო. უფიდან მიღებულია ძველი ყურანი, რომელიც ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასცა თურქესტანის მუსლიმანებს. მუსლიმანების კრებამ მხურვალე მადლობის დეპეშა გაუგზავნა აღმოსავლეთის ერების მფარველ-საბჭოთა მთავრობას და სთხოვა მას აგრეთვე მისცეს თავშესაფარი ინგლისელების მიერ მესოპოტამიიდან განდევნილ მუსლიმან სამღვდელოებას.

საზღვაო მიმოსვლის ბიურო.

მოსკოვი. 22 აგვისტო. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა „საზღვაო მიმოსვლის ბიურო“-ს სააქციონერო საზოგადოების წესდება, რომლის დამაარსებლად ითვლებოდა ერთის მხრივ მოხალისე ფლოტი და სახელმწიფოს სავაჭრო ფლოტი და მეორეს მხრივ საოკეანო გემების კამპანია „უაიტსტარ-ლაინი“, სააქციონერო საზოგადოება „ჰამბურგი—ამერიკის ხაზი“ და სააქციონერო საზოგადება „ჩრდილოეთ-გერმანიის ლოიდი“, საზოგადოება ემსახურება ს. ს. რ. კავშირის ემიგრანტების მოგზაურობას, რომელნიც მიემგზავრებიან ევროპის გარეშე კონტინენტის ქვეყნებში.

რუსეთი

ინგლისელ მრეწველთა ჯგუფის გამგზავრება.

მოსკოვი. 22 აგვისტო. დღეს მოსკოვიდან საზღვარ გარეთ გაემგზავრა ინგლისელ მრეწველთა ჯგუფი ბალდვინის მეთაურობით, რომელმაც დაამთავრა წინასწარი მოლაპარაკება.

„საჰაერო ფლოტის მეგობართა“ საზოგადოების პირველი ყრილობა.

დონის-როსტოვი. 22 აგვისტო. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პირველი ყრილობა გაიხსნა. თერგის დელეგატებმა განაცხადეს, რომ მთიელთა რესპუბლიკის სასულიერო წოდებამ საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ შემოსწირა საეკლესიო ჯვრები და განძეულობა და მოუწოდეს მოსკოვის სამღვდელოებას, რათა იმათაც წაჰბაძონ ამ მაგალითს.

125 პროც. ნაყოფიერებისა.

ნოვო-ნიკოლაევსკი. 22 აგვისტო. ლენინის სახელწოდების მუშის ქარხანამ, რომელიც მიმდინარე წლის განმავლობაში გაუქმებული იყო, ამ ბოლო დროს წარმოებითი ნაყოფიერება 125 პროცენტამდე აიყვანა მშვიდობიან დროსთან შედარებით.

ესერების პარტიის დაშლა.

ომსკი. 22 აგვისტო. ყოფილ ესერთა საგუბერნიო კონფერენცია შეუერთდა სრულიად რუსეთის ესერთა კონფერენციის გადაწყვეტილებას და მიჰმართავს პარტიის ყველა წევრებს და მოუწოდებს მათ, რომ ამ დადგენილებას შეუერთდნენ.

ორი მილიონი ფუთი პური ექსპორტისათვის.

ჩიტა. 23 აგვისტო. რუსეთის კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის შორეულ აღმოსავლეთის კანტორამ დაამზადა ორი მილიონი ფუთი ხორბალი საზღვარგარეთ გასატანად.

ამერიკელები ციმბირში.

ეკატერინბურგი. 23 აგვისტო. ამერიკელებმა სენატორებმა—კინგმა, ლაიდმა და სხვებმა ინახულეს ზემაისეცკის ქარხნები და უნივერსიტეტი.

საბინაო კანონთა კოდექსის პროექტი.

მოსკოვი. 22 აგვისტო. კომუნალურ მეურნეობის მთავარი სამმართველო შეუდგა საბინაო კანონთა კოდექსის პროექტის გამომუშავებას, რომელშიაც, მწყობრ სისტემის სახით, შევა საბინაო საკითხის არსებული კანონდებულებები. მუშაობის გათავების ვადა განსაზღვრულია 2 თვით.

დაწესებულებებისათვის საბინაო ქირის გადახდის პროექტი.

მოსკოვი. 22 აგვისტო. კომუნალურ მეურნეობის მთავარმა სამმართველომ გამოიმუშავა და რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში შეიტანა პროექტი დაწესებულებების მიერ დაკავებულ ბინებისათვის ქირის გადახდის დეკრეტისა. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები, თანახმათ პროექტისა კვადრატ-საჟენში იხდიან 80-დან 120 კაპ. ოქრო ი. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი დაწესებულებები იხდიან 2 მანეთამდე. კერძო დაწესებულებები და საზოგადოებები, რომლებიც არ ისახავენ კომერციულ მოგების მიზნებს (საზოგადოებრივი, სამეცნიერო და ქველმოქმედი ორგანიზაციები)—3 მანეთამდე ოქროთი; დანარჩენი კერძო დაწესებულებები—სახლის პატრონთან შეთანხმებით. დაწესებულებები, რომლებიც ადგილობრივ ხარჯებზე ინახება, სრულიად თავისუფლდებიან ქირის გადახდისაგან. აღმასკომებს შეუძლია განაკვეთის შეცვლა დაწესებულ მაქსიმუმის ფარგლებში და ადგილობრივ პირობების მიხედვით.

100 ადგილი უმაღლეს სასწავლებლებში თურქ-სპარსელებისათვის.

მოსკოვი. 22 აგვისტო. პროფესიონალ განათლების მთავარმა სამმართველომ 100 ადგილი დაუთმო ოსმალეთის და სპარსეთის სტუდენტებს რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ორგანიზაცია.

მოსკოვი. სასოფლო-სამეურნეო ბანკის მომწყობმა კომისიამ მიზანშეწონილად იცნო უცხოეთის ორგანიზაციების მონაწილეობა ბანკის ძირითად კაპიტალის შექმნაში.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

საგამომფენო საფოსტო მარკები.

მოსკოვი. 22 აგვისტო. საკავშირო გამოფენის აღსანიშნავად საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გამოუშვას განსაკუთრებული მარკები:—1 მანეთიანი მთესველის სურათით, 2 მანეთიანი—მთიბავის სურათით, 5 მანეთიანი—მიწადმოქმედების ემბლემით, და 7 მანეთიანი—გამოფენის საერთო სურათით.

უცხოეთის ექსპონატების მიღება.

მოსკოვი. 23 აგვისტო. უკანასკნელი დღეების განმავლობაში საკავშირო გამოფენაზე მიღებულია უცხოეთიდან დიდძალი ექსპონატები. უცხოეთის ექსპონატები, ნაწილობრივ იაპონიის და ამერიკის ექსპონატების გამოკლებით, მიღებულია სრულად. ამ დღეებში გაიხსნება უცხოეთის პავილიონები.

გლეხები გამოფენის შესახებ.

მოსკოვი. 23 აგვისტო. დღეს გამოფენა ინახულა 6000 ექსკურსანტმა, გამოფენის კომიტეტი ექსკურსანტებისათვის აწყობს იაფ-ფასიან სასადილოებს.

გლეხებს განსაკუთრებით აინტერესებს სასოფლო-სამეურნეო იარაღები, საქონლის ჯიშები და საერთოდ ყველაფერი, რაც სოფლის მეურნეობას შეეხება.

გლეხები ამბობენ, რომ გამოფენამ „ახალი ძალები მისცა მათ“. ისინი აცხადებენ, რომ სახლში დაბრუნების შემდეგ ისინი გამოიყენებენ ყველაფერს, რაც კი ნახეს გამოფენაზე.

გერმანიის ექსპონატები გამოფენაზე.

მოსკოვი. 22 აგვისტო. გერმანიის სააქციონერო საზოგადოება „იოჰან ბეკერ“-მა განსაკუთრებულ პავილიონში, რომელიც ტიპიურ გერმანულ ფერმას წარმოადგენს, გამოაფინა ახალ ექსპონატებს გარდა, ერბოს სადღვები მანქანები, კულტივატორები, რძის საციებელი, ბზის საჭრელი და სალეწი მანქანები, კარტოფილის გადამრჩევი მანქანები, ჭარხლის სანაყი და სხვ. ექსპონატები ორი ჯურისაა: წვრილ ერთეულ მეურნისა, და მსხვილ ს სოფლო-მეურნეობისა. საზოგადოების წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებენ ცენტროკავშირთან, რათა ამ კავშირმა შეიძინოს დიდძალი სასოფლო სამეურნეო იარაღები და მანქანები, საერთო სესხის წესით.

შინამრეწველობის განყოფილება გამოფენაზე.

მოსკოვი. 22 აგვისტო ყოფილ ბროშლეის ქარხნის შენობა გადაკეთებულია გამოფენაზე შინა-მრეწველობის გამოსაფენ პავილიონად, რომელიც ტიპიურ სანახაობას იძლევა ს. ს. რ. კ-ს შინამრეწველობისას. ყურადღებას იქცევს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან წარმოდგენილი საუცხოვო ქსოვილები და არშიები და აგრეთვე ტობოლსკ გუბერნიის შინამრეწველთა მომონტის ძვლისაგან დამზადებული ნივთები, დანები და სხვა.

გერმანიის ფირმების წინადადება.

მოსკოვი. 22 აგვისტო. სრულიად საკავშირო გამოფენაზე ჩამოვიდნენ გერმანიის ელექტრო-ტეხნიკურ ფირმების წარმომადგენლები, რომელთაც, გაეცნენ რა რუსეთის მდგომარეობას, გადასწყვიტეს მიაწოდონ რუსეთს მსხვილი საქონლის ვექსილის კრედიტი რუსეთის ბანკების უზრუნველყოფის ქვეშ.

საგამომფენო კომიტეტის ზრუნვა ჟურნალისტებზე.

მოსკოვი. 22 აგვისტო. საგამომფენო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა გამოფენაზე ჩამოსულ პროვინციელ ჟურნალისტებს მიენიჭოთ შეღავათი ექსკურსანტებს თან ერთად რკინის გზით უკან გაბრუნების დროს.

ყველა დაინტერესებულია გამოფენით.

მოსკოვი. 22 აგვისტო. გამოფენა ინტერესს იწვევს მოსახლეობის ყველა წრეებში. ყოველდღიურათ გამოფენას ათვალიერებს რამოდენიმე ათასზე მეტი კაცი.

დღეს გამოფენა ინახულეს ვოლინის, ტვერის, ჩერნიგოვის და პეტროგრადის გუბერნიების და ყუბანის ოლქის ექსკურსანტებმა—მუშებმა და გლეხებმა. არიან ექსკურსანტები—ყაზანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები და ესტონეთიდან ჩამოსული რეველის სტუდენტები გამოფენაზე აგრეთვე ბევრია ექსკურსანტები—მოსკოველი მუშები.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

საჰაერო ფლოტისათვის.

სოხუმი. 24 აგვისტო. გუმისტის მაზრის, სოფ. გუმისტში გაიმართა წარმოდგენა და ფულების შეგროვება საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

მუშაობა სოფელში.

სოხუმი. 24 აგვისტო. კომუჯრედები სამურზაყანოს მაზრის მთელ რიგ სოფლებში ანვითარებენ ნაყოფიერ მუშაობას. სოფ. აჩკაჯვარში უჯრედი აერთიანებს შვიდი სოფლის პარტიის წევრებს; მოეწყო სამკითხველო-ქოხი და კლუბი. გამოწერილია სოხუმის გაზეთი.

აღმშენებელთა კავშირში.

სოხუმი. 21 აგვისტო. აღმშენებელთა კავშირი მიზნათ ისახავს აფხაზეთის საინჟინერო-ტეხნიკურ ძალთა გაერთიანებას. სწარმოებს სამზადისი მუშაობა მოხსენების შესადგენად სრულიად საქართველოს ყრილობისათვის.

აჭარა.

ბათომის ნავთსადგურში.

ბათომი. 24 აგვისტო. 23 აგვისტოს მოვიდა ესპანეთის გემი „ლიუსი“, რომელმაც წაიღო 410 ტონა ნავთი. 27 აგვისტოსათვის ამერიკიდან მოელიან გემს „კლონტარფ“-ს, 6 სექტემბერს—„სოგუს“-ს.

შაქარი.

ბათომი. 24 აგვისტო. ცეკავშირის ბათომის განყოფილებამ მიიღო კიევიდან ერთი ვაგონი შაქარი. შაქრის ნაწილი გაიგზავნება ცეკავშირის განყოფილებებში, დანარჩენი კი გაიყიდება ბათომში ერთიან სამომხმარებლო საზოგადოების საშუალებით.

სომხეთი.

სახელმწიფო გამომცემლობა ფართოვდება.

ერევანი. 23 აგვისტო. ვაღარშაპატსა და კარაკლისში სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ორი ახალი წიგნის მაღაზია გახსნა. სახელმწიფო გამომცემლობამ მიიღო სომხეთის ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ყველა გამოცემანი. ბერძნებისა და თათრების სკოლების დასაკმაყოფილებლად სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ მიჰმართა აზერბეიჯანისა და აჭარის სახელმწიფო გამომცემლობათ, რათა მიჰყიდონ მათ სახელმძღვანელო წიგნები. კავშირი გაიბა მოსკოვის „მუშათა გამომცემლობასთან“, საიდგანაც სომხეთში მიღებულია წარმომადგენლობა. მიღებულია აგრეთვე კონტრ-აგენტობა ამიერ-კავკასიის კომიტეტისა და „წითელი წიგნი“-საგან ამჟამად სახელმწიფო გამომცემლობა მოლაპარაკებას აწარმოებს მოსკოვის გაზეთების და რუსეთის ჟურნალების ექსპედიციებთან ჟურნალ-გაზეთების კონტრაგენტობის მიღების შესახებ.

მეფუტკრეობისათვის

ერევანი. 23 აგვისტო. შაგალში შენდება ქარხანა, რომელიც საგანგებოდ იმუშავებს სომხეთის მეფუტკრეობისათვის საჭირო გაუმჯობესებული სისტემის სკრისა და სხვა ხელსაწყოს დამზადებაზე.

აზერბეიჯანი

დეპეშები თურქულ ენაზე.

ბაქო 23 აგვისტო. რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობის დადგენილების გასატარებლად, აზერბეიჯანის ყველა დაწესებულებებს წინადადება მიეცა მაზრებში დაიგზავნი დეპეშები თურქულ ენაზე გადაიცემოდეს ხოლმე.

პირნახული საფრთხეშია.

ზაქათალა. 23 აგვისტო. ზაქათალის მაზრაში 20 დღეა, რაც გამუდმებული კოკისპირული წვიმებია. პურის ძნები მინდვრად ლპება. ლეწვა შეუძლებელია. წყალდიდობამ წალეკა ბოსტნები. ხეხილის ბაღები სეტყვამ ჩარეგვა.

პარტიული ცხოვრება

ამხ. იოსებ გალუსტაშვილის და ამხ. კორზუნის ხსოვნას

დღეს სრული ერთი წელიწადი შესრულდა, რაც დუშეთის მაზრაში, სოფელ მჭადისჯვართან, ტინის ტყეში ბანდების მიერ წამებული იქნენ მუხრანის ახალგ. კომკავშირის წევრი ამხ. იოსებ გალუსტაშვილი და დუშეთის მაზრის ბოლიტ-ბიუროს თანამშრომელი ამხ. კორზუნი.

ამხ. გალუსტაშვილი იყო ს. მუხრანის მცხოვრებელი, მეტად ღარიბი გლეხის შვილი, აგრეთვე დაობლებული მამით. მას მეტად უწყო მდგომარეობაში უხდებოდა აღზრდა და ჯერ მცირე-წლოვანს ლუკმა-პურისთვის სხვებთან უხდებოდა მუშაობა. სკოლაში სწავლის საშუალებას მოკლებული იყო; მაგრამ თავისი პირადი მეცადინეობით შესწავლილი ჰქონდა წერა-კითხვა და განვითარებულ ახალგაზრდას წარმოადგენდა. წინანდელმა ცხოვრებამ ამხ. გალუსტაშვილის შეაგნებინა მნიშვნელობა მუშურ-გლეხური წესწყობილებისა. საქართველოს გასაბჭოებისთანავე ის მეტად აქტიურ მონაწილეობა იღებდა მუხრანის რაიონში პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში მუდამ ფხიზლად იდგა ღარიბი გლეხკაცობის ინტერესების სადარაჯოზე, სადაც დააყენებდა მას კომუნისტური პარტია.

გასულ წელს მუხრანის რაიონში ყაჩაღობა დაიწყეს ყოფილმა გვარდიელებმა და ქურდ ბაცაცებმა. მეტად სახიფათო იყო ტინის ტყეში გავლა; ეს იცოდა ამხ. გალუსტაშვილმა, მაგრამ თანახმად დავალებისა უყოყმანოდ წავიდა ამხ. კორზუნთან ერთად ქ. დუშეთისკენ. გზაში ჩასაფრებული თხუთმეტამდე ბანდიტები დაჰხვდნენ; ამხანაგები არ დაჰნებდნენ და მეტად უთანასწორო ბრძოლაში დალიეს სული. გამხეცებულ ბანდიტებმა მკვდარი ამხანაგები ასო-ასოთ აჰკუწეს. ამხ. ი. გალუსტაშვილის გვამი დღემდეც ვერ იქნა აღმოჩენილი. ამხ. კორზუნს კი მთელი მაზრის გლეხკაცობა იცნობდა, როგორც მუშურ-გლეხური ინტერესების ერთგულ დამცველს, უპარტიო, ენერგიულ მუშაკს.

დღეს ეს ბანდები უკვე აღარ არსებობენ. მათ უკვე მიიღეს შესაფერი სამართლიანი სასჯელი, ზოგი მათგანი თავის ნებით დაჰნებდა და შეურიგდა საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ამ ბანდებთან ბრძოლაში წამებული ამხანაგები: ი. გალუსტაშვილი და კორზუნი.

მათი თავდადებული ბრძოლა პროლეტარიატის საქმისათვის ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყვეს. გლეხკაცობა მეტად შეაწუხა ასეთმა ვერაგულმა მკვლელობამ, მაგრამ მათ ცრემლით კი არ დაიტირეს დაღუპული ამხანაგები, არამედ კიდევ უფრო გაამაგრეს ის რაზმი, რომელსაც ემსახურებოდენ დაღუპული ამხანაგები. კომკავშირის ორგანიზაციებში, იქ სადაც შარშან ათეული წევრები ითვლებოდა, დღეს წევრთა რიცხვი ასეულობით ითვლება.

არტ. ფირ—ვი.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

(სახალხო სასურსათო კომისარიატის ცნობებით).

გადასახადის ჩაბარების ვადის გაგრძელება.

როგორც ვწერდით, აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებისათვის გადასახადის ჩაბარების უკანასკნელ ვადებათ დაწესებული იყო: დაბლობ ადგილებისათვის—ოქტომბრის 1, ხოლო მთა-გორიან ადგილებისათვის ნოემბრის 15. საქართველოს რესპუბლიკანური კომისია ამ საკითხს კვლავ შეეხო თავის უკანასკნელს კრებაზე და საჭიროდ სცნო, გადასახადის ჩაბარების უკანასკნელი ვადა აღმოსავლეთ საქართველოსთვის ერთი თვით გაგრძელებულ იქმნეს. სახელდობრ დაბლობ ადგილებისათვის უკანასკნელ ვადათ დაწესდეს ნოემბრის 1, ხოლო მთა-გორიან ადგილებისათვის—დეკემბრის 15. გუშინდელს კრებაზე ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკათა საუწყებათაშორისო კომისიამ ეს დადგენილება დაამტკიცა. გადასახადის ჩაბარების ვადების გაგრძელება ერთის მხრით იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ სასოფლო სიების შედგენა დაგვიანდა, მეორე მხრით იმან, რომ სოფლად ძლიერი და ხშირი წვიმებია, რაიც გლეხს ხელს უშლის, რომ მოსავალი დააბინავოს და გალეწოს.

ხორბლის ფულადი ეკვივალენტები.

ვინაიდან ამ ჟამად საბაზრო ფასები მარცვლეულზე დიდს რყევას და ცვალებადობას განიცდის, ამიტომ საქართველოს რესპუბლიკანურმა საგადასახადო კომისიამ საჭიროდ სცნო, ფუთ ხორბლის ეკვივალენტის საკითხი განიხილოს შემდეგში, მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის წინ. ამასთანავე დაადგინა, მოეთხოვოს ადგილობრივს ორგანოებს ამ დროისთვის ცნობები ხორბლეულის საბაზრო ფასების შესახებ.

მოსავლიანობის ხარისხი დასავლეთ საქართველოსთვის.

საქართველოს რესპუბლიკანურმა საგადასახადო კომისიამ საჭიროდ სცნო, მოსავლიანობის ხარისხის დაწესება დასავლეთ საქართველოს მაზრებისათვის აგვისტოს ბოლოსთვის გადასდოს. ამის მიზეზი ის არის, რომ ხანგრძლივი განუწყვეტელი წვიმები საშუალებას არ იძლევა, რომ ცოტა თუ ბევრად ზედმიწევნით გამოირკვეს მოსალოდნელი მოსავალი. მოსავლიანობის ხარისხის დაწესების გადიდება იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ ამ დღეებში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან იწყება ადგილობრივ აგრონომთა ყრილობა, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქნება საკითხიც მოსალოდნელ მოსავლის შესახებ. ამასთანავე კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ცენტრალურ სტატისტიკო სამმართველოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, შეაგროვოს ცნობები მოსავლის პირის შესახებ დასავლეთ საქართველოში და კომისიას გამოუგზავნოს აგვისტოს 25 მდე.

რამდენი უნდა აიკრიფოს.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველომ სახალხო სასურსათო კომისარიატს მოსთხოვა შემდეგი ცნობები: 1) რამდენი ფუთი ხორბლეულის ერთეულის აკრეფაა განზრახული, 2) რამდენი უნდა აიკრიფოს მარცვლეულით და რამდენი ფულად, და 3) როგორ ნაწილდება გადასახადი მაზრებზე და 4) როგორი ფასია დაწესებული ფუთს ხორბალზე.

ვინ აწესებს ფულად ეკვივალენტს.

ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო კომისარიატი განმარტავს, რომ, თანახმად მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის მე-5 მუხლისა, ფუთ ხორბლის ფულადს ეკვივალენტებს აწესებს რესპუბლიკათა სახალხო სასურსათო კომისარიატები და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი და ამტკიცებენ ამიერ-კავკასიის სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატები, ფულადი ეკვივალენტები უნდა შეეფერებოდეს ამა თუ იმ რაიონის რეალურ საბაზრო ფასებს. ზოგიერთს შემთხვევაში დასაშვებია, რომ ამა თუ იმ რაიონში ა. | კ. სასურსათო და ფინანსთა კომისარიატებმა ეკვივალენტების საბაზრო ფასებზე მაღალი, ან დაბალი დააწესოს იმის მიხედვით, თუ იმ დროს რას მოითხოვს საერთო სასურსათო პოლიტიკა—განსაკუთრებით მარცვლეულის აკრეფას, თუ მხოლოდ ფულისას ამასთანავე ა | კ სახ. სას. კომისარიატი სთხოვს რესპუბლიკათა სახალხო სასურსათო კომისარიატებს, ყოველ შაბათობით დეპეშით აცნობონ ხოლმე მას ხორბლის საბაზრო ფასები ამა თუ იმ რაიონში.

მაზრებში.

ახალქალაქის მაზრა. როგორც სამაზრო სასურსათო კომისარი დეპეშით იტყობინება, უკანასკნელს დღეებში სეტყვას გაუფუჭებია 953 დესეტინა ნათესი. ზარალის გამორკვევა უკვე დაწყებულა და იგი აღწევს 60 პროცენტამდე მაინც. აგვისტოს 17 და 18 ს აგრეთვე დაზარალებულა დუხობორთა სოფლები და მთა-გორიანი ადგილების ზოგიერთი თემი.

ახალციხის მაზრა. როგორც სამაზრო სასურსათო კომისარი იტყობინება აგვისტოს 17-ს თარიღით, მაზრაში სამის კვირის განმავლობაში ძლიერი და ხანგრძლივი წვიმები მოდიოდა, რომელსაც მოჰყვა ყინვები. დაბლობს ადგილებში მომკილი ყანები ფუჭდება, მაღლობ ადგილებშიც არ მოელის კარგი ბედი ჯერ კიდევ დაუბინავებელ მოსავალს ფუთი ხორბალი 2.500.000 მან. ფასობს. მაზრაში განზრახულია შემსყიდველ აპარატის მოწყობა კოოპერაციის საშუალებით.

სიღნაღის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით, აგვისტოს 17-ს თარიღით სასოფლო სიები მზად არის, მაზრობრივი ჯამებიც ერთს კვირაში მზად იქნება, მაზრაში ფულის გარდა გადასახადის ანგარიშში 300.000 ფუთი მარცვლეული უნდა აიკრიფოს. მარცვლეულისთვის საჭირო ტომრები და სხვა საგნები ცენტრიდან მოთხოვნილია.

სამხრეთ ოსეთი. აგვისტოს 17-ს მიღებულ ცნობით, სამხრეთ-ოსეთის მთა-გორიან ადგილებში თოვლი დასდო, ზოგან ნათესები დიდად დაზარალდა. დაბლობს ადგილებში მოსავალი აღებულია, მაგრამ მის გალეწვას წვიმები უშლის ხელს.

გორის მაზრა. უკანასკნელი საბაზრო ფასები შემდეგია: ხორბლისა—2,200,000—2,300,000 მან., ქერისა—1,000,000—1,200,000 მან. და სიმინდისა 800—900,000 მან.

თიანეთის მაზრა. ცენტრიდან მოთხოვნილია ტომრები მარცვლეულისთვის. საბაზისო საწყობი განზრახულია თიანეთში, ხოლო დამამზადებელი კანტორები ახმეტასა და გულელებში, წელს მაზრაში სამელიორაციო მუშაობა არავის შეუსრულებია.

ბორჩალოს მაზრა. შეწერილობის ფურცლები მზად არის, ხანგრძლივ წვიმების შემდეგ აგვისტოს 14-ს თოვლი მოვიდა და პური და სათიბები გააფუჭა. საგანგებო კომისია ზარალის გამორკვევას შეუდგა. ხორბლის საბაზრო ფასი აგვისტოს 20 სათვის 3,000,000 მან. იყო.

თელავის მაზრა. აგვისტოს 18-სთვის ხორბლის ფასი იყო 2,500,000 მან. მაზრაში წელს არავის შეუსრულებია სამელიორაციო სამუშაო.

შორაპნის მაზრა. როგოორც სამაზრო სასურსათო კომიტეტის ცნობა გადმოგვცემს, მაზრაში საშუალოდ მოვა 30—35 ფუთი მარცვლეული დესეტინაზე.

ქუთაისის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით, აგვისტოს 18-ს თარიღით სიმინდისა, ვენახისა და ბოსტნეულის მოსავალი საშუალოა, ხოლო ლობიოსი და ხილის ბაღებისა—საშუალოზე ნაკლები.

დუშეთის მაზრა. მთელი წინასწარი მუშაობა შესრულებულია. შეწერილობის ფურცლები დამზადებულია და საერთოდ ყველაფერი უკვე მზად არის გადასახადის აკრეფის დასაწყებად.

აფხაზეთში.

მაზრობრივი ჯამები უკვე გამოყვანილია. გუდაუთის მაზრაში აღმოჩნდა: სახნავი—14,243 დესეტინა და საქონელი—15,828 სული, გუმისტის მაზრაში: სახნავი—19,573 დესეტინა და საქონელი—23,043 სული, კოდორის მაზრაში: სახნავი—9,633 დესეტინა და საქონელი—17,980 სული და სამურზაყანოში: სახნავი—2,501 დესეტინა და საქონელი—30.276 სული. სულ აფხაზეთში: სახნავი—68,461 დესეტინა და საქონელი—87,127 სული.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(23 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	33,500
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	2,300
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	33,000
ჩეკები —	31,500
დოლარები ეფექტ. —	7,250
„ ჩეკები —	6,600
ოსმ. ქაღ. ლირა	4,650
იტალიური ლირა — —	240
ფრანგული ფრანკი —	325
საბჭ. ფულის ნიშ.	19

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(24 აგვისტო)

ფხვნილი შაქარი რუსეთის. ნარმა 16 ვერ. კანიფოლი ბორჯომის. ფრანგული სკიპიდარი. იტალიანური კონსერვები. გაზისა და წყალსადენის მილები. ინგლისური თეთრი თუნუქი გამომწვარი აგურები. მზესუმზირას ზეთი რუსეთის. ფანჯრის მინები. ბოთლები. კაუსტიური სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. ასანთი რუსეთის. ს. მ. უ ს. საფეიქრო საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიის. სახურავის რკინეულობა. ქაღალდი და კარტონები. რკინეულობა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(24 აგვისტო).

ნარმა 16 ვერშ. უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ყუბანისა და ადგილობრივი ფქვილი. სალამასი კრასნოდარის. ცემენტი პორტლანდის. ნედლი ტყავები. შვეიცარული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი, ინგლისური შაბიამანი, ნახიჩევანისა და ბახმუტის ქვა-მარილი, ტომრები, ცეილონის ჩაი, გოგირდი „ბუდა“. ყუბანისა და ადგილობრივი ხორბალი, კარტონები, კალა, კანიფოლი. საკვები ფქვილი, ქერი მზესუმზირას ზეთი რუსეთის.

ბირჟის საქონლის განყოფილების გარიგებანი.

(24 აგვისტო).

ასანთი ყ. ვოლკოვისა 1,65 ჩერვ. ყუთი გადახდილი აქციზით, ფრანკო-გამყიდველის საწყობი. შესაკრავი რკინეულობა 0,85 ჩერვ. ფუთი და მავთული 0,75 ჩერ. ფუთი, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

(24 აგვისტო).

ხორბლისა და პურის პროდუქტების ბაზარზე განწყობილება მტკიცეა. შაქრის ბაზარზე მცირე მოთხოვნილებაა, დანარჩენ ბაზრებზე განწყობილება მტკიცეა.

სასოფლო-სამეურნეო განათლება საქართველოში

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის განათლების ქვეგანყოფილებამ, სახ. განათ. კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარ სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად, შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო დაბალი სასწავლებლის ახალი ტიპი, რომელიც შეეფერება დროის მოთხოვნილებას და იმ პირობეს, რომელშიაც ს. ს. რესპუბლიკის მომავალ თაობას მოუხდება მუშაობა, სწავლის კურსი პროექტით განზრახულია განისაზღვროს 2 წლით. სკოლაში მიღებული იქნებიან ის პირები, რომელთაც გავლილი ექნებათ სავალდებულო საზოგადო განათლების სკოლის კურსი ახალგაზრდები არა ნაკლებ 16 წლის. ბავშვის მიერ ამ პირობებში. სწავლის მოსალოდნელი შეჩერება სასურველად არის ცნობილი იმ მოსაზრებით, რომ საზოგადო განათლების სკოლის კურსს ადრე დამთავრებულმა—ახალგაზრდამ შეიძლოს დაუბრუნდეს თავის ოჯახურ მეურნეობას, მიიხედ მოიხედოს და ამ ხნის განმავლობაში გამოაშკარავოს და გამოიჩინოს თავისი მიდრეკილება და მოწოდება. მაშინ სპეციალურ სკოლაში მოხვდებიან მხოლოდ ის ახალგაზრდები, რომელთა შესახებ უკვე გამოირკვა, რომ ისინი სასოფლო სამეურნეო ცოდნის მიღების შემდეგ დაუბრუნდებიან თავის მეურნეობას, შესძენენ ცოდნას სოფელს და იმუშავებენ თავის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო დარგში.

მეცადინეობა სკოლაში შეფარდებული იქნება სასოფლო-სამეურნეო რაიონებთან, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან საქართველოში სხვადასხვაგვარ ბუნებრივ-ისტორიულ და სამეურნეო პირობების მეოხებით მრავალია რაიონი, რომელიც ამა თუ იმ კულტურის სხვაობით, მეურნეობის დარგით, მიწის ნიადაგის დამუშავების ტეხნიკურ წესებით ერთი-მეორისგან შესამჩნევად განირჩევიან.

დაბალი სკოლა ვერ მოგვცემს უნივერსალურად მომზადებულს აგრო-მუშაკს, რომელიც უნდა იცნობდეს მრავალ სპეციალობას და ჰქონდეს უნარი. გაერკვიოს საქართველოს ყოველი ალაგის სხვადასხვა ფეროვან სამეურნეო პირობებში. ამიტომ აქ უპირატესად არის ცნობილი მოწაფეთა ვიწრო—რაიონული მომზადება ცოდნათა იმ კომპლექტით, რომელიც აუცილებელია და საჭირო ერთხა, რომელიმე რაიონში მუშაობის გასაჩაღებლად.

ახალი ტიპის სკოლებში მოეწყობა სარემონტო სახელოსნოები. სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად მოწაფეთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის, ამ მიმართულებით შეძენილი ცოდნა და გაწვრთნილობა დიდს სარგებლობას მოუტანს სოფელს, რადგან დღევანდელ მდგომარეობის გამო გლეხს საშუალება არ აქვს ადგილობრივ შეაკეთოს იარაღები და სრულიად მარტივი შეკეთებისათვის ხშირად შორეულ ქალაქში უხდება გამგზავრება.

ზემოხსენებული კომისარიატთაგან შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვით საქართველო ახლო მომავალში ახალი ტიპის სასოფლო სამეურნეო სკოლის ქსელით დაიფარება. პირველ რიგში იხსნება 14 ახალი სკოლა და ამას გარდა უკვე არსებული 4 დაბალი სასწავლებელი (წინამძღვარიანთ კარის, თამაკონის, ძველი სენაკის და ლანჩხუთის) გადაკეთდება ზემოხსენებულ ტიპის ახალ სკოლებათ.

ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო განათლება, რომელსაც წინანდელ ხელისუფალთაგან ფაქტიურად ყურადღება არ ექცეოდა, დღეს მუშათა და გლეხთა მთავრობის განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად ხდება, ღებულობს სათანადო განხორციელებას და განსაზღვრულ ფორმებში ყალიბდება.

როგორც მიწად სახ. კომ., ისე განათლებ. სახ. კომ-ში ყოველ მხრიდან სხვადასხვა ორგანიზაციების მხრივ მრავალი შუამდგომლობა მოდის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნის შესახებ, რაც პროფესიონალური განათლებისადმი მომწიფებული მოთხოვნილება უტყუარი და უეჭველი მაჩვენებელია.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად შემცირდა რუსეთიდან აგრონომიულ მუშაკთა მოსვლა უმთავრესად იმის გამო, რომ აგრომუშაკები ახალ პირობებში თავისავე სამშობლოში თავის ცოდნის და შრომის გამოსაყენებლად ფართე ასპარეზს პოულობენ. ამიერიდან მათ შესცვლის ახალი ცოცხალი ძალები, რომელიც უფრო გაცნობილი იქნებიან კუთხისა და ადგილობრივი მეურნეობის თავისებურობას. მართალია ჩვენში არსებობს მაღალი ტიპის ორი სამეურნეო სასწავლებელი: სახელმწიფო უნივერსიტეტის და პოლიტ. ინსტიტუტების სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტები, აგრეთვე ორი საშუალო ტიპისა,—ქუთაისის და ტფილისის ტეხნიკუმები, მაგრამ მათ სხვა დანიშნულება აქვთ და ამზადებენ საშუალო და უმაღლეს კვალიფიკაციის აგრონომ—პერსონალს.

ამ ჟამად მიწად. სახ. კომისარიატში სწარმოებს მუშაობა სპეციალური პროგრამების და სამოსწავლო გეგმების გამოსამუშავებლად. წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა ამ საქმისათვის მთავრობიდან დადასტურებულია, ხოლო პირველი მუშაობისთვის საჭირო აუცილებელი თანხა უკვე გადადებულია.

ბ. ზ.

პროფკავშირებში

სამთო-მადნო მუშათა კავშირში.

წევრების გადმორიცხვა.

ს. მ. უ. ს. საწვავ განყოფილების 98 მუშა-მოსამსახურე, რომელიც საბჭოთა მუშაკთა კავშირში ირიცხებოდენ, საქ. პროფკავშ. გამგეობის კომისიის დადგენილებით გადარიცხულ იქნენ სამთო-მადნო მუშაკთა კავშირში.

ადგილკომების გადახალისება ჭიათურაში.

ჭიათურის რაიონული კომიტეტის გამორკვევით რაიონში არსებული ზოგიერთი ადგილკომის მუშაობა მოისუსტებს. მუშაობის ს სურველ დონეზე დასაყენებლად და გასაძლიერებლად რაიონ. კომიტ. საჭიროდ მიიჩნია გადახალისება ადგილკომების, რომელშიდაც უნდა შევიდნენ პროფესიონალურად მომზადებული ამხანაგები, ზემოხსენებული რეორგანიზაციის სასწრაფოდ ჩასატარებლად არჩეული იქნა საორგანიზაციო კომისია.

იაფფასიანი სასადილოები და სანოვაგე მუშებისათვის.

ჭიათურის სარაიონო კომიტეტის მეცადინეობით მუშათა კლუბთან მოეწყო იაფ-ფასიანი სასადილოები მუშებისათვის, იმავე რაიკომის თაოსნობით წარმოების რაიონებში გაიხსნა მუშკოპის რამდენიმე განყოფილება, რომლებიც მუშებს პურს და სანოვაგეს იაფ ფასებში აწვდიან.

კულტ მუშაობა ჭიათურის მუშებს შორის.

ჭიათურის სარაიონო კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშებისათვის კვირაში ორჯერ ეწყობა კინო-სურათების ჩვენება და წარმოდგენები უსასყიდლოდ. დანარჩენ დღეებში მუშებს თეატრის ბილეთებზე ეძლევათ 50 პროც. შეღავათი.

ჭიათურის მუშებისათვის ყოველდღიურად მოდის სხვადასხვა პერიოდულ გამოცემათა 1100 ცალი. მუშები დიდი ხალისით კითხულო-

მუშათა ცხოვრება

ჩვენი ყოფა-ცხოვრება

(მუშის ნაამბობი).

ამხ. ტროცკის მიერ „მუშათა ყოფა-ცხოვრების" გაუმჯობესების შესახებ წამოყენებულმა ლოზუნგმა გამაკადნიერა გამოვამზეურო საზოგადოების თვალის წინ ზოგიერთი მუშის ცხოვრების სანიმუშო სურათი. საქართველოს გასაბჭოების დასაწყისში ზოგ ჩემს ამხანაგებს ერგოთ ბედნიერება მოხვედრილიყვნენ ბურჟუაზიისგან ჩამორთმეულ მუშათა სახლებში. ზოგი კი ისე, ძველებურად, განვაგრძობთ ჩვენი ხშირად მრავალსულიანი ოჯახებით ნესტიან სარდაფებსა და დაბლა სართულებში ცხოვრებას მეტად ცუდ პირობებში. გადავდივარ ხელფასის საკითხზე, უნდა აღვნიშნო, რომ ხელფასი წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების ერთადერთ და ძალიან არა საკმარისს წყაროს. ამავე დროს მისი მიღება და სახლში მიტანა წაავგავს იმ ღარიბ კაცის უბედურებას, რომელიც წავიდა თავისი დამტვრეული ვედროთი ოჯახში წყლის მისატანად, მაგრამ სახლში მისვლისას აღმოჩნდა, რომ წყალი გზაზე უკვე დაღვროდა და მწყურვალე ოჯახს მან კვლავ ცარიელი ჭურჭელი მიუტანა თითქმის ასე გვემართება ჩვენც. ჩვენს თამბაქოს ქარხნებში უფრო ხშირად 5 კატეგორიით ვღებთ შრომის ხელფასს, დაახლოებით 48 მილიონ მანეთს თვეში. აქედან გვეკავება: კავშირის საწევრო გადასახადი=2800 ათასი მანეთი, გაზეთის 1 500 ათასი მან., რამე მიზნისათვის ერთი დღის ხელფასი—2 მილიონამდე, ბინის და წყლის (სამსულიან ოჯახის) 6 მილიონამდე, თეატრის ბილეთისათვის 1 მილიონამდე და თუ პარტიული ვართ 1.200 ათ. პარტ. საწევრო გადასახადი ამნაირად ყოველთვიურად გვეკავება თხუთმეტ მილიონ მანეთამდე, რაც შეადგენს მთელი ჩვენი ხელფასის თითქმის ერთ მესამედს. დარჩენილი ხელფასის ნაწილი უდრის 1.100.000 მანეთამდე დღეში. ადვილად გასაგებია, რომ ეს ფული მუშას ძლივს ეყოფა თავის სამ-ოთხ სულიან ოჯახისთვის მარტო პურის საყიდლად.

დანარჩენ აუცილებელ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგრამ არც მარტო პურია საკმარისი მუშისათვის, რომელსაც საკმაო ნაყოფიერი მუშაობისათვის ქარხანაში ესაჭიროება კარგი კვება.

ჩვენი ყოფა-ცხოვრების ამ დეფექტების გამოსარკვევად აუცილებლად საჭიროა შესდგეს სათანადო კომისია, რომელმაც უნდა იზრუნოს, თუ ეკონომიური არა, ბინის პირობების შეცვლის შესახებ მაინც, რამდენადაც ეს შესაძლებელია თანამედროვე პირობებში.

მეთამბაქო მუშა ბახშო.

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშებში

ამა წლის 21 აგვისტოს მთავარ სახელოსნოში შესდგა აქაური მუშა-მოსამსახურეთა კრება. კრება გახსნა ადგილკომის სახელით ამხ რუხაძემ. დღიურ საკითხებად იდგა:

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო კოოპერაციის ინფორმაცია და იმავე კოოპერაციის კონფერენციაზე დელეგატების არჩევა.

მოხსენებას აკეთებს ამხანაგი პანომარიოვი. იგი მოკლედ შეეხო კოოპერაციის მნიშვნელობას და მან აღნიშნა, რომ, მიუხედავად კოოპერაციის განვითარებისთვის შექმნილ მძიმე პირობებისა, მას მოუხერხებია ბაზართან შედარებით დაკლებულ ფასებში მიეწოდებინა საჭირო საგნები თავის წევრებისათვის და მიუცია ნივთიერი დახმარება კულტურულ მნიშვნელობის საზოგადო საქმეებისთვის.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შესაფერისი რეზოლიუცია.

შემდეგ კრებამ აირჩია ოცდა ხუთი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად და დაიშალა.

მუშა ივ ბა—შვილი

მეტალისტებში

როგორც ვიცით, ლითონის განყოფილების მე-3 ავტო-სახელოსნოსთან დაარსებულია და უკვე მოქმედებს პროფ-ტეხნიკური კურსები, სადაც მეცადინეობს 60-მდე მუშა ამავე განყოფილების ქარხანა-სახელოსნოებიდან.

აღნიშნული კურსები მოწყობილია მეტალისტთა კავშირის კულტ-განყოფილების მიერ იმ მიზნით, რომ ქარხანა-სახელოსნოებში ამაღლდეს და აყვავდეს კვალიფიკაცია ხელოსან მუშათა შორის. კურსები მოწყობილია სახელოსნოს ფართე სინათლიან ოთახებში, რომელიც თავის მოწყობილობით მოაგვანებს კლასსა; კლასში დალაგებულია პარტები,—სდგას დაფა და შკაფი.

მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით, კურსებს ხელმძღვანელობს ინჟინერი, რომელიც მუყაითად ეკიდება თავის საქმეს და საგნებს მუშა-მომხსენებლებს უხსნის მდაბიო—გასაგებ ენაზე; ასე, რომ ისეთი საგნებს, როგორიც არის გეომეტრია, ხაზვა და სხ. წმინდა ტეხნიკური საგნები, მუშები ითვისებენ კარგათ.

ჩვენი მეტალისტების მოვალეობაა ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ ამ კურსების აყვავებას.

მუშკორი ი. ელიაშვილი.

გამართლებული „სპეცი"

(მუშკორის ამხ. ვასილიევის გასამართლების გამო)

ა. წ. 20 აგვისტოს, ამხ. სტალინის სახელობის კლუბში მოხდა მუშა კორესპონდენტის ამხ. ვასილიევის გასამართლება.

თეატრის დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო. გასამართლებას ესწრებიან ა. კ. რკინის გზების მუშა-მოსამსახურეები და სპეცები.

პრესის, როგორც უძლიერესი საზოგადოებრივი იარაღის საშუალებით, მუშკორი ვასილიევი თავის შენიშვნაში ბრალსა სდებდა მოქ. ვილიჟანინს, როგორც ადმინისტრატორს, რომელიც ანგარიშს არ უწევს პროფორგანიზაციებს, მუშათა პრესას და თავისი პირმოთნეობით და ბიუროკრატიზმით შეცდომაში შეყავს რკინის გზების უფროსი

მოქ ვილიჟანინი, ძველ დახავსებულ ბიუროკრატების ტიპია, ის დღემდის არ ივიწყებს მუშურ-გლეხურ სასამართლოშიაც ძველი „ჩინოვნიკების" ჩვეულ გამოთქმებს: „ბატონო, მოსამართლევ!", „პატივი მაქვს!", „მაქვს პატივი მოვახსენო, სასამართლოს!", „კეთილ ინებეთ!" „მიბრძანეთ". „ТАК ТОЧНО" და სხვა.

მუშკორის, ამხ. ვასილიევის წინააღმდეგ გამოსვლით, მოქ. ვილიჟანინს სრულიად დაავიწყდა, რომ ის ამით გამოდის მუშათა პრესის წინააღმდეგ.

ამხ. ვასილიევი პატიოსანი, ენერგიული, პირდაპირი და დამსახურებული ძველი მუშკორი დღევანდელი სასამართლოს გმირი გამოდგა. სიცრუე მას ფიქრადაც არ მოსდის და ის ამაყად მოითხოვს თავის გამართლებას.

მან, როგორც სხვა ყველა მუშკორებმა, მიზნად დაისახა საბჭოთა ჯანმრთელ სხეულზე ყველა მუწუკების მოსპობა.

ხმა-მაღალი და ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აუდიტორია აღტაცებით ხვდება მუშკორის დამცველების გამოსვლას.

ვილიჟანინთან მოსული „სპეცები"ს და მოყვარეების მთელი კომპანია, ზანდილოსანთა ჯგუფები, გრძნობდა რა მოქ. ვილიჟანინის დამარცხებას, თან და თან იშლებოდა და ბოლომდე დარჩენ მხოლოდ რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები.

მოქ. ვილიჟანინის სიმტყუნე და მუშკორის გამოქვეყნებული შენიშვნის სინამდვილე—სასამართლომ დაამტკიცა და გაამართლა ამხ. ვასილიევი.

დიე, მაგალითი იყოს ეს ყველა „გაუსწორებელი ადმინისტრატორებისათვის" და გამაფხიზლებელი ყველა მშრომელთა ინტერესების დაცვის მაძიებელ მუშათა კორესპონდენტებისათვის.

მუშკორი მეთუთუნე.

დაუშვებელი მოვლენები

(მილიციის საყურადღებოდ)

ტფილისის „დეზერტირის ბაზარზე" ყოველ დღე დიდი ვაჭრობაა გაჩაღებული. ამ ვაჭრობასთან ერთად სწარმოებს დაუშვებელი ქურდობა. ათასობით დაძრწიან ნაძირალები და მუშა-ხალხს თავის ხელით ნაოფლარს-ნალვაწს მოხერხებულად აცლიან.

ერთ მშვენიერ დღეს, ერთი ვინმე ახალგაზრდა კარგად ჩაცმული კაცი, თურმე, დახეთ მის ოინებს რა როლს ასრულებს, ერთს მუშას ფულს აცლის, რომელსაც იმ დღეს მიეღო ჯამაგირი და გამოსულიყო სანოვაგის საყიდლად ამ ახალგაზრდამ ამოეცალა ფული, მაგრამ, მის საუბედუროდ, ფულის ნაწილი დაბნეოდა ჯიბიდან ამოღებაში, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ჯიბგირის დაჭერას. მუშამ სტაცა ხელი, კარგად მიუთავაზა და ისე გაუშვა, მაგრამ ზოგ იქ დამსწრე საზოგადოებას ძალიან გული დასწყდათ, რომ ასეთი არადასაშვებ საქმისათვის ნაძირალა ასე ადვილათ იქმნა განთავისუფლებული.

საჭიროა ამისთანა არადასაშვებ მოვლენებს დიდი ყურადღება მიექცეს მილიციის მიერ და ამისთანა მავნე პირები იქნენ დასჯილნი.

მუშის შვილი ვლ დევაძე.

ბენ აგრეთვე პროფესიონალური შინაარსის წიგნებს.

დასასვენებელი სახლი მუშებისათვის.

ჭიათურის მუშებისათვის ქ. საჩხერეში მოწყობილია დასასვენებელი სახლი, სადაც დასასვენებლად იგზავნებიან ხანგრძლივი შრომით დაღლილ-დაქანცული მუშები, რომლებიც, ექიმების შემოწმების თანახმად, შრომის უნარის აღსადგენად დასვენებას საჭიროებენ.

კავშირის წევრთა ბინები.

სარაიონო კომიტეტის წარმომადგენლისა, შრომის ინსპექტორისა და ტეხნიკურ ინსპექტორისგან შემდგარმა საბინაო კომისიამ დაათვალიერა მუშათა ბინები, რომელთაგან ბევრი უვარგისი გამოდგა. კომისიის დადგენილებით უვარგისი ბინები გაუქმებულ იქნენ, ხოლო დაზიანებული დაუყონებლივ უნდა შეკეთდეს: უვარგის ბინის პატრონ მუშებს მიეცათ საკომპენსაციო ფული.

აბანო მუშებისათვის.

ამჟამად ჭიათურაში არსებობს ერთი აბანო, რომელიც მუშების მოთხოვნილებას სავსებით ვერ აკმაყოფილებს. კავშირის თაოსნობით ყველა დიდ წარმოებასთან ეწყობა სხვა აბანოები.

ახალი კლუბი.

ბათომის სამთო-მადნო მუშათა კავშირმა გახსნა საკუთარი ახალი კლუბი, რომელშიდაც წევრად 130-მდე მუშა-მოსამსახურე ირიცხება. კლუბთან დაარსდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც მოეპოვება მრავალი თანამედროვე წიგნი და ჟურნალ გაზეთი.

ქრონიკა

— **შრომის განყოფილებების მუშაობის გეგმის დამტკიცება.** საქ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა შრომის ყველა განყოფილებების მუშაობის გეგმა.

— **უმუშევრობასთან ბრძოლა.** ამავე კოლეგიამ დაამტკიცა დებულება შრ. სახ. კომისარიატთან უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიის დაარსების შესახებ, რომელიც წარედგინება დასამტკიცებლად ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს.

— **პური ამიერ-კავკასიისათვის.** ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რუსეთიდან მიღებული პურის ხორბალი დაფქვას და გაანაწილოს ა.-კ მაზრებს შორის.

— **საავტომობილო ტრანსპორტი ბორჯომში.** ა.-კ. სახ კომისართა საბჭომ ბორჯომში საავტომობილო ტრანსპორტის მოსაწყობათ გადასდო 5 მილიარდი მანეთი.

— **მოსავლის დაყოფა რაიონებად** ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა პროექტი აღმოსავლეთ საქართველოს მთა-გორიან ადგილების მოსავლიანობის მიხედვით რაიონებად დაყოფის შესახებ.

— **ბრძოლა ეპიზოოტიის წინააღმდეგ.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ აჭარის სახ. კომისართა საბჭოს განკარგულებაში ეპიზოოტიის წინააღმდეგ საბრძოლველად გადასდო 5 მილიარდი მან.

— **ზამთრის ნათესების სივრცის გაზრდა.** მიწად-მოქმედების კომ. აგრონომიულ დახმარების განყოფილების ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოში ზამთრის ნათესების სივრცე, გაზაფხულის ნათესებთან შედარებით, გაიზარდა 50—70 პროცენტით.

— **სახალხო მამულები.** მიწადმოქმედების სახ. კომ. სახალხო მამულების ქვე-განყოფილება გადაკეთებული იქნა სახ. მამულების სამართველოდ რომლის განკარგულებაში გადავიდა საცდელ განყოფილების ზოგიერთი მამულები.

— **ცხენთა მარულები.** ცხენთა ჯიშის გამაუმჯობესებელ სამმართველომ საშემოდგომო სეზონისათვის მოაწყო იპოდრომი და დაამთავრა საჯიშო თავლების შეკეთება.

— **სავაჭრო დარბაზების შეკეთება.** ქალ. აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით საფინანსო განყოფილებას დაევალა კომ. განყ. ერთად, ერთი კვირის განმავლობაში გამოარკვიოს სავაჭრო რიგებში დარბაზების შეკეთების საკითხი.

— **დახმარება საჰაერო ფლოტს.** მთავარ სასურსათო საწყობის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ გადასდონ აგვისტოს და სექტემბრის თვეებში ნახევარ ნახევარი დღის ხელფასი.

— **კოლოკვიუმები.** განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა, შემოღებულ იქნას დროებითი ზომის სახით მომავალი სამოსწავლო წლის დასაწყისიდან სპეციალურ ტეხნიკუმებს შესვლის მსურველთათვის კოლოკვიუმები. კოლოკვიუმების ჩაბარება საჭიროა შემდეგ ტეხნიკუმებში შესვლისთვის; ქიმიურში, პოლიტეხნიკუმში, სასოფლო-სამეურნეოში და სამრეწველო-საეკონომიოში. თხოვნები მიიღება აგვისტოს 25-დან სექტემბრის 5-მდე. კოლოკვიუმები დაიწყება სექტემბრის 10-დან. პირობების დაწვრილებით გაგება სათანადო ტეხნიკუმებში შეიძლება.

— **სასოფლო მეურნეობის მავნეებთან ბრძოლა.** მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებულმა სასოფლო მეურნეობის მავნეებთან მებრძოლმა ბიურომ—ახალხალაქის მაზრაში, განსაკუთრებით დუხობორების სოფლებში და ბაკურიანის რაიონში მინდვრის თაგვებთან საბრძოლველად გააგზავნა მფრინავი რაზმი.

— **მევენახეთა ამხანაგობა საქარაში.** სოფელ საქარაში განზრახულია მოეწყოს მევენახეთა ამხანაგობა, რომელიც საქარის საცდელ საჩვენებელი სადგურის ზედამხედველობით დაამზადებს კახელ-მევენახეთათვის ნამყენ ვაზს ხელსაყრელ პირობებში.

— **გადმოხვეწილ უმუშევრების სამშობლოში დაბრუნება.** შრომის ბირჟამ დაამტკიცა სია იმ უმუშევრების, რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნება მათ მიეცემათ სამგზავრო უფასო ბილეთები.

— **სავაჭროს გატეხა.** 22 აგვისტოს ღამით სომხის ბაზარზე № 18 ბოროტ-გამზრახველებმა გატეხეს გამზად-ომაროვის სავაჭრო, საიდანაც გაიტაცეს რამდენიმე მილიარდის ოქროულობა.

— **პატიმარის გაქცევა.** ავჭალაში იძულებითი სამუშაოდან გაქცეული ტერ-მესროფოვი, რომელიც მიჰყავდათ მილიციონერებს გამასწორებელ სახლში, კვლავ გაიქცა.

— **შრომის ბირჟა.** 22 აგვისტოს აღრიცხვაზე გამოცხადდა 416 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 110 კაცი, სამუშაოზე გაიგზავნა—48 უმუშევარი.

— **სასოფლო-სამეურნეო აღწერა.** სასოფლო სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველოების აღწერა ტფილისის მაზრაში ნაყოფიერად მიმდინარეობს.

— **ლოტოს აკრძალვა.** აჭარის შინაგან საქ. კომისარმა გასცა განკარგულება ყოველ კლუბებში ლოტოს თამაშის შეწყვეტის შესახებ, რადგან მოთამაშეთა უმრავლესობას შეადგენენ მუშები და წითელ არმიელები.

— **გორის სახალხო სახლის სასარგებლოთ.** კვირას, 26 აგვისტოს „დაისის ბაღში", გაიმართება დიდი საღამო, გორის სახალხო სახლის სასარგებლოთ

— **მოსკოვის ქართულ დრამატიულ სტუდიაში შემსვლელთა საყურადღებოდ.** ორშაბათს, 27 აგვისტოს, დილის 10 საათზე ხელოვანთა სასახლეში შესდგება წინასწარი გამოცდები იმ პირთა, რომლებსაც სურთ შესვლა მოსკოვის ქართულ დრამატიულ სტუდიაში, აღნიშნული სტუდია არსდება მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის ვახტანგ მჭედლაშვილის ხელმძღვანელობით. აგვისტოს 25-ს კი დანიშნულია საკონკურსო გამოცდა იმ პირთა, რომელნიც წინასწარ გამოცდებს ჩააბარებენ. საკონკურსო გამოცდებით მიღებულნი ჩარიცხულნი იქნებიან სტუდიაში სტუდიის ხარჯზე. ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე ხელოვანთა სასახლეში საღ. 7—9 საათამდე

შრომის სახალხო სასამართლოში

შრომის კანონის დარღვევისათვის.

შრომის სახალხო სასამართლომ გაარჩია ვაჭარ გიორგი კონსტანტინეს ძე პერტიას საქმე, რომელსაც ბრალდებოდა სისტემატიურად შრომის კანონების დარღვევა, და მიუსაჯა სამი თვით თავისუფლების აღკვეთა. ხოლო მის მიერ უკანონოთ დათხოვნილი ნოქარი ალექსანდრე კაზარიანი აღდგენილ იქნას თავის ადგილზე.

არყის მოვაჭრის საქმე.

შრომის სახ. სასამართლომ ამხ. ირ. სურგულაძის თავმჯდომარეობით განიხილა რა არყით მოვაჭრე აბრამ გრიგოლისძე ბარგის საქმე, დაადგინა, აღნიშნულ ბარგის შრომის კანონების დარღვევისათვის, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 136 მუხ. ძალით მიუსაჯოს 300 მან. (ჩერვონცებით) ჯარიმა კასაციის უფლებით.

მცირე წლოვანთა სამუშაოდან მოხსნის გამო.

შრ. სახ. სასამართლომ ამხ. ირ. სურგულაძის თავმჯდომარეობით ვაჭრებს: 1) ნიკო თედიაშვილს, 2) მიხეილ ოგანოვს, 3) გიგო პაპოვს 4) შაქრო ტულაშვილს, 5) კოტე ოგანოვს, 6) შაქრო ტატუაშვილს, 7) კარაპეტიანს მიუსაჯა თითოს თითო წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლებმაც ერთმანეთთან შეთანხმებით დაითხოვეს მცირე წლოვანი მომუშავენი. ხოლო თუ აღნიშნული ხაზეინები დათხოვილ მომუშავეებს დააბრუნებენ თავთავიანთ ადგილზე, იმ შემთხვევაში აღნიშნული სასჯელით აღარ დაისჯებიან.

პროვინციაში

ზუბის და ოყურეშის თემების გაერთიანების გამო

(ლეჩხუმის მაზრა).

აღნიშნული თემები მდებარეობენ ლეჩხუმის მაზრაში და ერთმანეთს ესაზღვრებიან. მათ დღემდის ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი მმართველობა და აღმასკომები ჰქონდათ.

ოყურეშის თემი აერთიანებს 5 სოფელს: ოყურეში, ოფიტარა, ისუნდერი, მახურა და ლაჯკვიტა.

ზუბის თემი შეიცავს მხოლოდ ერთ სოფელს—ზუბს, რომელიც სიდიდით საშუალო სოფელზე ნაკლებია

აღნიშნული თემები დასახლებულია გლეხებით, რომელთა ეკონომიურ-კულტურული მდგომარეობა მეტად დაბალ დონეზე სდგას.

არსებობს მხოლოდ პირველ დაწყებითი სასწავლებელი, არ არის საავადმყოფო და ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა კულტურული დაწესებულება.

ამ ნაკლულოვანებას ჩვენი თემების ცხოვრებაში, ყურადღება მიაქცია როგორც ადგილობრივმა ისე სამაზრო აღმასკომმა. და რომ შესაძლებელი ყოფილიყო თემებისათვის უაღრესად საჭირო დაწესებულებების გახსნა, მათ საჭიროდ სცნეს ამ ორი მოსაზღვრე თემების ერთ თემში გაერთიანება ამ გაერთიანების საშუალებით იმ ძალთა და საშუალებათა გაძლიერება ხელს შეუწყობდა ზემოდ დასახელებულ დაწესებულებათა შექმნას.

სამწუხაროდ დღემდის ეს გაერთიანება არ მოხერხდა და მისი განხორციელებისაგან უფრო განზე დგომას იჩენს სოფ. ზუბი.

ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ზუბელებს არ უნდათ გაერთიანებულ თემის მმართველობის ადგილი გაცილებულ იქნას ზუბის საზღვრებს. ისინი წინააღმდეგი არიან გაერთიანებული თემის საერთო ცენტრათ ცნობილ იქნეს ს. ოყურეშის ძველი სამმართველოს ადგილი.

ჩვენის აზრით კი დასახელებულ ყველა სოფლებისათვის ნამდვილ შუა ადგილს წარმოადგენს ცხენისწყლის პირად ოყურეშ-მახურა-ისუნდრის ძირზე მდებარე ადგილი (ნამეწყერი ჭალა) „ოყურეშის ხიდის" სახელწოდებით.

მართალია, ეს ადგილი ჯერ ჯერობით კიდევ წარმოადგენს საშიშროებას, რადგან მოსალოდნელია ის კიდევ დაიმეწყროს, მაგრამ ამ საშიშროების თავიდან აცილება ადვილი მოსახერხებელია ტეხნიკოსთა დახმარებით და საჭირო მუშაობით გაწევით. შეიძლება გზა დაკეტოს იმ ღელეს, რომელიც ზემოდან ამ ადგილისაკენ მოექანება და აზიანებს მას.

თუ ეს ღონისძიებანი იქნება მიღებული ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომის მიერ, მაშინ დასახელებულ გასაერთიანებელ თემებისათვის აღმოჩენილ იქნება საუკეთესო შუა ადგილი, სადაც გაიმართება ყველასათვის სასარგებლო და მისაწვდომი დაწესებულებანი: თემის სამმართველო, ფოსტა ტელეგრაფი და სხვ.

ამ უკანასკნელის შუა ადგილად დაწესებით ყველა სოფლები დაინტერესებული იქნებიან და იქ. საზოგადო დაწესებულებათა აგების სასარგებლოდ ყველანი თავის წვლილს გაიღებენ. ამით მიზანიც ჩვენი ქვეყნის წარმატებისა მიღწეული იქნება

ხმელი.

ზუგდიდი

20 აგვისტოს, დილის 11 საათზე ბანდიტები თავს დაესხნენ სენაკისკენ. მიმავალ დილიჟანებს და ხანგრძლივ წინააღმდეგობის შემდეგ შესძლეს მათი გაძარცვა. დილიჟანში მყოფ ამხანაგების წინააღმდეგობამ ყაჩაღების მიმართ ვერ გამოიღო შესაფერი ნაყოფი, დაჭრილი იქნა სამი ადამიანი და მოკლული იქნა რვა წლის ბავშვი. ზუგდიდის მილიცია, აღმასკომის თავმჯდომარე გრ. როგავას მეთაურობით ათი წუთის განმავლობაში გაჩნდა ბოროტმოქმედების ადგილზე, მაგრამ ყაჩაღებმა მოასწრეს მიმალვა. საჭიროა მკაცრი ადმინისტრატიული ზომების მიღება ყაჩაღთა თარეშის წინააღმდეგ და მცხოვრებთა დახმარება მაზრის მავნე ელემენტთაგან გასაწმენდათ

უ მიქავა

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ტფილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილება № 34.

„23" აგვისტო 1923 წ.

შენიშნულია, რომ მოქალაქენი ნებადაურთველად იკავებენ ბინებს კერძო მფლობელობის სახლებში

აღმასკომი, იღებს რა მხედველობაში, რომ მოქალაქეთა ასეთი მოქმედება ძირიანათ ეწინააღმდეგება საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებულ გეზს საბინაო პოლიტიკაში, და ამით ფერხდება საბინაო საკითხის მოგვარება თანახმად საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. კერძო მფლობელობის სახლებში საცხოვრებელ სადგომების შესახებ გამოცემულ დეკრეტისა № 9, ადგენს:

1. სასტიკად ეკრძალება მოქალაქეთ ბინაში ჩასახლება, თუ მათ არ იქნება დადებული შესაფერი შეთანხმება სახლის მეპატრონესთან, ან ორდერი მიცემული აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს მიერ.

2. სახლის მეპატრონესთან თავისუფალ შეთანხმებით ჩასახლებული ვალდებულია სისწორით შეუსრულოს მეპატრონეთ მათთან შეთანხმება, მიუხედავათ იმისა, იქნება ის საბჭოთა მოსამსახურე თუ მე-22 კატეგორიით საბინაო ქირის გადამხდელი.

3. ეკრძალება მობინადრეთ ბინის სხვა პირზე გადაცემა.

4. დამრღვევი ამ სავალდებულო დადგენილებისა დაჯარიმებული იქნება ადმინისტრატიული წესით 30 ჩერვონცამდე, ან გამასწორებელ სახლში დამწყვდევით ერთი თვით.

5. ქალაქის მილიციას ევალება შესაფერი დახმარება აღმოუჩინონ ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ როგორც უძრავ ქონებათა სამმართველოს აგენტებს, აგრეთვე სახლის მეპატრონეს.

პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**ხუხიშვილი**

მდივანი თიკანაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

ორშაბათს, 27 აგვისტოს, დღის 11 1/2 საათზე

გადის

პირველი მატარებელი

გლეხთა ექსკურსიისა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ყველა რაიონებს, მონაწილეობა მიიღონ გაცილებაში და ეს შემთხვევა გამოიყენონ როგორც პრაქტიკული მოვლენა სოფლისა და ქალაქის ერთობის და ამ დღეს მისცენ საზეიმო საგიტაციო ხასიათი როგორც დემონსტრაციას მუშებისა და გლეხების ერთიანობისას.

საუბნო კომიტეტებს წინადადება ეძლევათ დელეგაციები გაგზავნონ მუშებისაგან და აირჩიონ ორატორები მილოცვებისა და სიტყვების წარმოსათქმელად.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესხენი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა საუბნო კომიტეტებს და უჯრედებს, რათა ერთიან საკავშირო დღეს, 27 აგვისტოს უჯრედების კრების დღის წესრიგში დასვან საკითხი ახალგაზრდათა საერთაშორისო მე-9 დღის შესახებ. ტეზისები ცალკე გამოცხადდება გაზეთებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ ვ. მეტონიძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ცენტრალური კომიტეტი გაუწყებთ, რომ მიმდინარე აკადემიურ წლისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დაწესებულია 130 სტიპენდია, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტში 90 და პოლიტეხნიკუმში—40.

სტიპენდიების განაწილება:

№	სამაზრო კომიტ. დასახელება.	სახელმწიფო უნივერსიტეტში.	პოლიტეხნიკუმში.
1	ახალქალაქის სამაზ. კომ.	1	2
2	ახალციხის "	2	1
3	ბორჩალოს "	1	1
4	გორის "	4	1
5	დუშეთის "	2	1
6	თიანეთის "	2	1
7	თელავის "	3	1
8	სიღნაღის "	2	1
9	ქუთაისის "	12	2
10	შორაპნის "	6	2
11	ოზურგეთის "	8	2
12	სენაკის "	6	1
13	ზუგდიდის "	3	1
14	ლეჩხუმის "	1	1
15	ფოთის "	3	1
16	რაჭის "	1	1
17	ს. კ. პ. ტფ. კომ. (მაზრ.)	15	8
18	აჭარის საოლქო კომიტ.	8	4
19	სამხ.-ოსეთ. საოლქო კომ.	2	4
20	აფხაზეთის "	4	4
		90	40

1. სტიპენდიანტების გასანაწილებლად პარტკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებთან ეწყობა კომისიები, რომლებშიაც შედიან: პროფესიონალური ორგანიზაციების, ახალგაზრდობის კომკავშირის, სახალხო განათლების განყოფილების და პოლიტიკური განათლების განყოფილების წარმომადგენლები.

ა) სტიპენდიები განაწილებული უნდა იქნენ კომუნისტურ პარტიასა, ახალგაზრდობის კომკავშირსა და უპარტიოებს შორის.

ბ) იგზავნებიან ისეთი პირები, რომლებიც [illegible], არიან პარტიზანები, ნიჭიერები და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულები.

გ) სტიპენდიები ეძლევათ მხოლოდ პირველ კურსზე ჩასარიცხებს.

დ) გამოგზავნილები ღებულობენ სტიპენდიას 15 საქონლის [illegible] ყოველთვიურად და სხვა რამე უზრუნველყოფა მათ არ ეძლევათ.

სტიპენდიანტები იგზავნებიან განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ადგილობრივ სახალხო განათლების განყოფილებათათვის მიცემულ ადგილების რიცხვიდან.

2 ყველა დანარჩენ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოთ უმაღლეს სასწავლებელში მიღების პირობებით, რომლებიც დაგზავნილია განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სამაზრო სახალხო განათლების განყოფილებებისადმი.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი ქართველიშვილი.

ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: ქვირიკაძე.

საქართველოს კ. პ. ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება 26 აგვისტოს (კვირას) აწყობს ექსკურსიას ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურზე.

დელეგატებმა და ქალთა განყოფილების ორგანიზატორებმა თავი უნდა მოიყარონ სადგურთან, დილის 6 საათზე. ყველას დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-4 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობენ ეხლა, ან წინად მუშაობდნენ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში, გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ აგვისტოს 26-დე. რეგისტრაციას ექვემდებარებიან: რედაქტორები, სარედაქციო კოლეგიის წევრნი, კორესპონდენტები და ჟურნალ-გაზეთების მუდმივი თანამშრომელნი.

პასუხისმგებელი მდივანი (ხელის მოწერა).

საღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების გამგე ისაკოვი.

განცხადებები

დამწუხრებულნი ძმები; ვიქტორ, ალექსანდრე, ილიკო და კონსტანტინე სამსონის ძენი ასათიანები, დები: ევდოქსი წერეთლისა, ვასასი აბულაძისა, მარიამ, აგრაფინა და ეკატერინე ასათიანები, სიძეები შალვა წერეთელი და ვანო აბულაძე აუწყებენ ნაცნობთ, რომ კვირას, 26 აგვისტოს, დღის 12 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილ იქნება უდროოთ დაკარგულის

დავით სამსონის ძე ასათიანის

გარდაცვალების ორმოცის თავი.

(1123 1—1)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 28 აგვისტოს, დილის 10 საათზე,

დანიშნულია

თავისუფალი ვაჭრობა

ძველი საკაზმავის გასასყიდათ.

დათვალიერება შეიძლება ყოველდღე, დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქ. № 60.

1126—1—1

მთლიანი მუშათა კოოპერატივის საწარმოვო განყოფილება

ყველა ადგილკომებს და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს.

მუშკოპის საწარმოვო განყოფილება იღებს დაწესებულებებიდან, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მომარაგებაზე.

ფქვილს პურის გამოსაცხობათ თავის ფურნეებში

პირობების გაგება შეიძლება მუშკოპის საწარმოვო განყოფილებაში.

(კრ. 580—1—1)

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ კვირას, 26 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ცენტრალური საწყობის ეზოში (ელისაბედის ქ. № 138)

დანიშნულია

სიტყვიერი საჯარო ვაჭრობა

რომლითაც იჯარით გაიცემა ცენტრო საწყობის შენობების რემონტი და მათი სათანადო გადაკეთება ხორბლეულის მოსათავსებლად და აგრეთვე ცენტრო-საწყობის სახურავის შეღება.

იჯარა შეიძლება გაიცეს ნაწილ-ნაწილად რამდენიმე პირზე: ნაწილობრივ გამოყენებული უნდა იქნეს ცენტრო-საწყობში არსებული მასალა.

დაწვრილებითი პირობები და სამუშაოს გადათვალიერება შეიძლება სასურსათო სახალხო კომისარიატის მომარაგების განყოფილებაში საქმის დროს (ევანგულოვის ქ. № 2).

ს. ს. ს. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი.

(1091—3—3)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული საბუღალტერო პრაქტიკული კურსი

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 132.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვე.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—17

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენის [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—2)

ქ. ტფილისის 1 რაიონის სახალხო მოსამართლე იწვევს

სასამართლოში გიორგი ალექსანდრეს ძე ნაზარბეგოვს, ნინო ალექსანდრეს ასულს ფითოევისას, სოლომონ და იოსებ გრიგოლის ძეთ ვარძელოვებს, ანნა და ელისაბედ იოსების ასულთ პულინოვებს, როგორც მემკვიდრეებს გარდაცვალებულის ქ ტფილისში, ელისაბედ იოსების ასულის ენუკოლოპოვის ქონებისა, მოპასუხეებათ ანდრია ვასილის ძის ივანოვისა შრომის ჯამაგირის აღდგენაზედ და აფრთხილებს მათ, რომ თუ ისინი ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდებიან, დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

1-ლ რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქ. № 23.

სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა).

1—1.

დაიკარგა პირადობის მოწმობა (უვადო) პლატონ შიოს ძე მიქიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1124—1—1

დაიკარგა ერთიანი პარტიული ბილეთი № 490264, ამხ. იოსებ მურადაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1125—1—1

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის შვიდი კლასის დასრულების მოწმობა და მე 8 კლასის დიპლომი ორივე ამავე სასწავლებლიდან მოცემული 1908 წ. ოლღა მიხეილის ასულ ლეკვიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1 22—1—1)

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, [illegible] ქუჩა № 4